ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

15 მარტიდან!

„ახალი თაობა“+

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




ოთხშაბათი, 27 მარტი, 2013 №72 (6073) ფასი: 30 თეთრი

# კახა კუკავა: „კეზერაშვილის ბიზნესს „ქართული ოცნება“ მფარველობს“



გვ.3



## მინისტრები 6300 ლარის ნაცვლად 7 835 ლარს მიიღებენ

გვ.4



# ბიძინა ივანიშვილი დღეს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს წარადგენს

გვ.2



## რატომ დადუმდნენ გუბაზ სანიკიძე და ზვიად ძიძიგური

— გვ. 2 —



## ავთო მარგიანი: „საქართველოს პრეზიდენტად კენჭი ბიძინა ივანიშვილმა უნდა იყაროს“

გვ.4



## დავით დარჩიაშვილი: „ხელისუფლებას სურვილი აქვს, საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელში ჩაიგდოს“



გვ.5



გვ.6

## ლევან ბერძენიშვილი: „ვენეციის კომისიის დასკვნა 100 პროცენტით არც ერთ ქვეყანას არ გაუთვალისწინებია“

13 მარტიდან!

„ახალი თაობა“

+

შექსპირი

8 ლარი




ISSN 1987-9385

3 „როსპოტრებნადზორის“ დელეგაცია 40-მდე ქართულ კომპანიას შეამოწმებს

6 თეატრალურ უნივერსიტეტში თეატრის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ

6 ორხევის ხიდთან ქმარმა ცოლი წამებით მოკლა

5 სოლომონ პავლიაშვილი: „ბანკებიც და ბიზნესიც ისევ ნაციონალების ხელშია“

## ირაკლი ღარიბაშვილი ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა

სტრასბურგში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ტორბიორნ იაგლანდს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის



ინფორმაციით, ორმხრივი შეხვედრა გენერალური მდივნის ოფისში ხელმოწერის ცერემონიით დაიწყო. ხელი მოეწერა დოკუმენტებს – ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების, კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ კონვენციას, ასევე კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებით ოქმს და სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების ევროპული კონვენციის მეორე დამატებით ოქმს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე გაბრიელა ბატაინი დრაგონმა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანდასწრებით, ხელი მოაწერა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს გაერთიანებულ პროგრამას ჯანდაცვის კუთხით საქართველოს ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ასევე შეხვდა საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩებს. საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, მიმდინარე რეფორმებს და თანამშრომლობას ევროპის საბჭოსთან. გარდა ამისა, გაიმართა შეხვედრა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის გენერალურ დირექტორ ფილიპ ბოიასთან.

ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მდივან ვოიჩეკ სავიცკისთან.

ნიუსპრესი

## ბიძინა ივანიშვილი დღეს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს წარადგენს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი და კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, დღეს, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდა-



ტებს წარადგენს.

კანდიდატების წარდგენა კოალიციის ცენტრალურ ოფისში, 12 საათზე მოხდება.

შეგახსენებთ, რომ 27 აპრილს, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი კანდიდატების შუალედური არჩევნები სამ რაიონში – სამტრედიაში, ბაღდათსა და ნაძალადევში გაიმართება.

ნიუსპრესი

# რატომ დადუმდნენ გუბაზ სანიკიძე და ზვიად ძიძიგური

თამარ ნინიძე

**საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამ პარლამენტში კიდევ ერთხელ დაადასტურა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჯერ უნდა გადახტე და ჰოპლა მერე თქვა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისა და სარეიტინგო კენჭისყრამდე პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობას საჭირო საკონსტიტუციო ხმების რაოდენობა ჰქონდა, შეიძლება ითქვას, იმ დღეს „ქართულმა ოცნებამ" სამარცხვინოდ წააგო, თანაც საზოგადოების წინაშე და არა მხოლოდ ნაცმოძრაობის მიმართ.**

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ ხარ თავდაჯერებული და არ გაქვს მყარი არგუმენტები და ინფორმაცია, რომ დღეს შენ საჭირო ხმებს აიღებ, არც უნდა ილაპარაკო, ცრუ მოლოდინი საზოგადოებაში არ უნდა გააჩინო. ნებსით თუ უნებლიეთ, ბიძინა ივანიშვილმა ეს ცრუ მოლოდინი გააჩინა, ყველა ელოდა, რომ ნაცმოძრაობის ხმების გარეშეც გავიდოდა საკონსტიტუციო ცვლილებები, მაგრამ სხდომის იმ ერთმა დღემ, სამწუხაროდ, აჩვენა, რომ ნაცმოძრაობა უფრო მობილიზებული და საბრძოლველად განწყობილი იყო, ვიდრე ქართული ოცნება. ნაცმოძრაობა, რომელსაც აქამდე ნულოვანი რეიტინგი ჰქონდა, ფაქტობრივად მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა, კერძოდ, მან საკუთარ მხარდამჭერებს შეტყობინება გაუგზავნა, რომ ჯერ კიდევ გააჩნია ძალმოსილება, რომ შთამბეჭდავი გავლენა მოახდინოს პარლამენტის გადაწყვეტილებებზე. რა აჩვენა ამ დროს ქართულმა ოცნებამ? პირიქით, სარეიტინგო კენჭისყრას დათანხმდა და მეტიც, დიდხანს მავედრებლის მდგომარეობაში ნაცმოძრაობას ემუდარებოდა, რომ სარეიტინგო კენჭისყრაზე უარი ეთქვათ.

ახლა საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტზე იქნება ანალოგიური რეაქცია, ჯერ იტყვიან, ნაცმოძრაობას ჯიბეში ჰყავდა სასამართლოები და ჩვენ უნდა გავათავისუფლოთო, მერე კი იმ ექვს სადავო ადგილზე იუსტიციის საბჭოში ნაცმოძრაობის მოსაზრებას გაიზიარებენ. აი, ეს მართლაც კოჰაბიტაციაა, ოღონდ პოლიტიკურ ძალებს შორის და არა საზოგადოებრივ დონეზე. საზოგადოება ისევ მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას და არ ცნობს კომპრომისებს.

იმაზე მიდის საუბარი, ნაცმოძრაობაში არის თუ არა ქვედინებები, ვინ ვის ნავში ზის, ვინ არიან ქორები და ვინ მშვიდობის მტრედები, ზოგს ქორებად ბოკერიას დაჯგუფება მიაჩნია და მტრედებად კი დავით ბაქრაძის ჯგუფს მიიჩნევს, რომელშიც თითქოს-







და ჟვანიას ყოფილი თანაგუნდელები არიან. სააკაშვილი წასვლას არ აპირებს და რომც წავიდეს, ეს ნაცმოძრაობას მაინც ვერ უშველის. პერსონალურად თითოეული ნაცმოძრაობელი მაინც იქნება გაიგივებული ვარდების რევოლუციასთან და მის შედეგებთან, თუნდაც სხვა სახელი დაირქვან, მაინც ვერ ჩამოირეცხავენ ცოდვებს და ვერ წარდგებიან ადამიანების წინაშე განწმენდილები. მაგრამ მათ აქვთ შანსი იტივტივონ ქართული ოცნების ყოველი დაუფიქრებელი განცხადების და შეცდომის ფონზე და ეს ამ სარეიტინგო კენჭისყრამაც დაადასტურა. მეტადრე, თუ რესპუბლიკური პარტიის გაძლიერებულ ამბიციებს და მის პოლიტიკურ სვლებს გავითვალისწინებთ, ნაცმოძრაობა პირიქით, რეიტინგს სწორედ მათ ხარჯზე აიწევს, რეგიონული ენებისთვის სახელმწიფო ენასთან გატოლება აქამდე არავის მოუთხოვია და თუ ევროსაბჭო აქამდე ამას ითხოვდა, ამ საკითხს საქართველო თავს არიდებდა ე.წ. თურქი-მესხების ჩამოსახლებასთან ერთად. დღეს ეს თემა რესპუბლიკელებმა წამოწიეს და ქართული ოცნებიდან არავინ აღმოჩნდა, რომ ამაზე საკადრისი პასუხი გაეცა.

სად არის აქამდე ნაქები პატრიოტების ჯგუფი პარლამენტში? სად არის გუბაზ სანიკიძე, ზვიად ძიძიგური? რატომ არ აპროტესტებენ იმას, რომ სამცხე-ჯავახეთში ვიღაცებს სახელმწიფო ენასთან არასახელმწიფო ენების გატოლება უნდათ, სად არის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე დეპუტაცია?

სამწუხაროდ, ბოლო დროის მოვლენებმა შეიძლება ეჭვი გააღვივოს, რომ კოალიცია ქართული ოცნების საპარლამენტო უმრავლესობაში ლიდერის პოზიცია მხოლოდ რესპუბლიკელებს აქვთ და არა პარტიას ქართულ ოცნებას, თავისუფალ დემოკრატებს, კონსერვატორებს ან ეროვნულ ფორუმს. ამიტომ რახან რესპუბლიკელები ასე ძლიერ აქტიურობენ და ბოლო ხანს მათი შემაკავებელი არავინ არის სამარცხვინო ნაცმოძრაობის გარდა, აუცილებელი ხდება, რომ შუალედურ არჩევნებში მოგების შანსი არასაპარლამენტო ოპოზიციის იმ ნაწილს მივცეთ, რომელიც რესპუბლიკელებს თამამად გაუწევს ოპონირებას და არაფერს შეუშინდება.

კარგი იქნება, რომ ქართული ოცნება კოჰაბიტაციაზე ზრუნავდეს არა მარტო ნაცმოძრაობასთან, არამედ არასაპარლამენტო ოპოზიციასთანაც. რა იცის, როდის შეიძლება დასჭირდეს ოპოზიციის ამ ნაწილის გვერდში დგომა.

## თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ავღანეთში იმყოფებოდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა ბროლაძემ და თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა ვაკო ავალიანმა, ავღანეთში სამხედრო ბაზები მოინახულეს და ავღანეთში მყოფ ქართველ სამხედროებს საქართველოს მთავრობის და მინისტრის ახალი ინიციატივები გააცნეს.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დელეგაციის წევრებმა ქართველ სამხედროებს პირობა მისცეს, რომ საქართველოში დაბრუნებულებს გაუმჯობესებული სოციალური პირობები და ინფრასტრუქტურა დახვდებათ.

ვიზიტის ფარგლებში ქართული დელეგაცია, ავღანეთში, ნატოს სრულუფლებიან ელჩს მაურიც იოკემს, ავღანეთში საერთაშორისო კოალიციური ძალების სარდალს გენერალ ჯოსეფ დანფორდსა და აისაფ-ის სამხრეთ-დასავლეთის რეგიონალური სარდლობის მეთაურს გენერალ-მაიორ ვოლტერ მილერს შეხვდა.

სამინისტროს ინფორმაციითვე, შეხვედრის დასასრულს, გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილემ ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ, ავღანეთის მისიაში ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერისათვის ამერიკელი ოფიცრები, პოლკოვნიკი ოსტინ რენფორტი, ვიცე-პოლკოვნიკი ბრაიან ნილი, მაიორი რუდი სალსიდო, და მაიორი ენდრიუ დელგადიო გენერალ კვინიტაძის მედლით დააჯილდოვა.

ამ დროისთვის სამშვიდობო მისიის ფარგლებში ავღანეთში 1600-მდე ქართველი მსახურობს.

ნიუსპრესი

## ქარიშხალმა დედოფლისწყაროში საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა

ძლიერმა ქარმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯში ლაპიაშვილების საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა.

ქიზიყი.გე-ს ინფორმაციით, დაზარალებულებმა დახმარების თხოვნით მუნიციპალიტეტის გამგეობას უკვე მიმართეს. დაზიანების ხარისხს სპეციალური კომისია შეისწავლის და ზარალის ანაზღაურებაზე თვითმმართველობის ორგანო, კომისიის მიერ დასკვნის დადებისთანავე იმსჯელებს. სხვა დაზარალებულების თაობაზე ინფორმაცია ამ ეტაპზე არ არსებობს.

ნიუსპრესი

## მიხეილ სააკაშვილი: „ბათუმი შესაძლებელია წყალმა წაიღოს"

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბათუმში ჩავიდა და სტიქიის შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლი მოინახულა. პრეზიდენტის განცხადებით, აუცილებელია სარემონტო სამუშაოების დროულად ჩატარება.

„ჩვენ მოვამზადეთ ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები და აზიის ბანკთან შეთანხმებას მივაღწიეთ, რომ ბათუმში და მთლიანად ამ სანაპირო ზოლზე ნაპირსამაგრი სამუშაოები დროულად დამთავრებულიყო. თუმცა შემდეგ ვიღაცებმა თქვეს, რომ კეთდებოდა ძვირიანი ოქროს ქვიშის პროექტი. ოქროს ქვიშა პრაქტიკულად არაფერი არ ჯდება, უნდა გაგვეკეთებინა ნაპირსამაგრი, რათა ბათუმი წყალს არ წაეღო. შემდეგ კი, ნაპირსამაგრზე, ზემოდან ამ ქვიშის დაყრაც შეიძლებოდა. ეს სააკაშვილის მორიგ ახირებად მიიჩნიეს და ამის გამო ჯერჯერობით ეს პროექტი შეჩერებულია. იმედი ამქვს, რომ ეს გაუგებრობაა, რადგან ნაპირსამაგრი სამუშაოები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ოქროს ქვიშა. ყველამ ვინც ეს პროექტი შეაჩერა ან ჩემს ჯიბრზე მას ეჭვის თვალით უყურებს, დაივიწყეთ ჩემი არსებობა და შეხედეთ, რომ ამ ქალაქს ზღვით წაღების საფრთხე ემუქრება"– განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობა გოკა გაბაშვილის განცხადებას „სახალხო კრებასთან" დაკავშირებით სიმართლედ არ მიიჩნევს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის" მიერ, მიმდინარე წლის 19 მარტიდან 26 მარტამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა პარლამენტარ გოკა გაბაშვილის განცხადებას, რომელიც მან უმცირესობისა და შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრის დროს გააკეთა და რომლის თანახმადაც, „სახალხო კრების" ლიდერები საქართველოში რუსული სპეცრაზმის შემოყვანას გეგმავდნენ – სიმართლედ არ მიიჩნევს.

კითხვაზე – „სიმართლედ მიგაჩნიათ თუ არა გიორგი გაბაშვილის





განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ „სახალხო კრების" ლიდერები საქართველოში რუსული სპეცნაწილების

შემოყვანას გეგმავდნენ," გამოკითხვაში მონაწილეთა 76,1 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა, 19,6 პროცენტმა კი საწინააღმდეგო მოსაზრება დააფიქსირა.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 4,3 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „კეზერაშვილის ბიზნესს „ქართული ოცნება“ მფარველობს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, თქვენ ქვემო ქართლის ყოფილი პროკურორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვთ. იქნებ უფრო დეტალურად ვისაუბროთ, რასთან დაკავშირებით ითხოვთ ამას?***

— წინა ხელისუფლების პირობებში ადგილი ჰქონდა დიმიტრი ლორთქიფანიძის წინააღმდეგ საქმის შეკერვას, როდესაც ის იცავდა პატიმრების უფლებებს და გახსოვთ, ის მწვავედ უპირისპირდებოდა მაშინდელ სასჯელაღსრულების სამინისტროს. ქვემო ქართლის პროკურატურამ დაიწყო საქმის შეთითხნა და ორ პატიმარს, კუპრეიშვილს და ფაილოძეს აიძულებდნენ, მიეცათ ჩვენება, რომ თითქოს ლორთქიფანიძე მათ რაღაცას სძალავდა. თუმცა ამ პატიმრებმა უარი განაცხადეს და ძიება არ დაიწყო. პირველი ოქტომბრის შემდეგ კი ჩვენთვის ცნობილი გახდა ამ საქმის მასალები, რაც, თავისთავად ცხადია, ერთი დასრულებული დანაშაულია. თუმცა, აქ საუბარია იმაზე, რომ იკვეთება მეორე დანაშაულიც დღევანდელი პროკურატურის მხრიდან, თუ რატომ არ ხდება ამ საქმეზე ძიება. პატიმრებმა უკვე რამდენიმე კვირის წინ მიმართეს ამასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს, თუმცა მათგან არანაირ რეაგირებას ადგილი არ ჰქონია.

***— დღეისათვის რაში მდგომარეობს თქვენი მოთხოვნა?***

— ჩვენ ამ მასალებს ვუგზავნით იუსტიციის სამინისტროს და ვითხოვთ, დაიწყოს ძიება. მზად ვართ, შევხვდეთ მინისტრს, მთავარ პროკურორს. ეს ყველაფერი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

***— პროკურატურის მისამართით სულ უფრო ხშირია საყვედურები საზოგადოების მხრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ ძველი კადრები წინაურდებიან და არ ხდება დროულად სამართლიანობის აღდგენა.***

— ამას უწოდებენ კოაბიტაციას, რაც, ჩემი აზრით, ძალიან სერიოზული ფარსია, იმიტომ რომ ეს არ იყო საზოგადოების დაკვეთა და დღევანდელი ხელისუფლება საზოგადოებას ჰპირდებოდა სამართლიანობის აღდგენას. დღეს სრულიად აშკარაა, რომ მიმდინარეობს ღია თანამშრომლობა „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის. რაც ყველაზე ცუდია, ეს თანამშრომლობა მიმდინარეობს სწორედ ჩვენი საზოგადოების ხარჯზე, იმიტომ რომ ის ადამიანები, რომლებსაც კონკრეტული დანაშაული ედებოდათ ბრალად, არ ისჯებიან. იმ ადამიანების რეაბილიტაცია, რომლებიც ამას ელოდნენ, არ ხდება. ის ადამიანები, რომლებიც ქონებრივ უფლებებში აღდგენას ელოდნენ, არც მათი ქონებრივ უფლებებში აღდგენა არ ხდება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საზოგადოების მხრიდან ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

***— რაშია პრობლემა, რატომ ჭიანურდება ეს პროცესი?***

— მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი ხელისუფლება, თავისი არსით, არის წინა ხელისუფლების მემკვიდრე, მორალურად არის მემკვიდრე და არა მარტო წინა, წინის წინაც. შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვილის მთავრობები, თუ გადავხედავთ მათ პირად შემადგენლობას, ძირითადად ერთი და იგივე მოქკავშირული კადრებია. ესენი არიან ადამიანები, რომელთა 99% კარიერის გამო მოხვდა პოლიტიკაში და არა იდეებისა და პრინციპების გამო. თქვენ რომ გადახედოთ ახლა, ამ ხალხს რამდენჯერ აქვს თავისი პრინციპები გამოცვლილი, ამაში უდავოდ დამეთანხმებით. ამიტომ დღევანდელი ხელისუფლების ამოცანა რაც იყო, იმას უკვე მიაღწიეს. დღევანდელი ხელისუფლების ამოცანა იყო წინა ხელისუფლების შეცვლა. დღეს კომპასმორღვეული ხომალდივითაა დღევანდელი ხელისუფლება. მათ არა აქვთ არანაირი მიზანი. მათ არ იციან, რა უნდა აკეთონ და ეს იგრძნობა ყველა სფეროში. სოციალური მიმართულების სამინისტროებშიც, ეკონომიკურშიც, ძალოვანშიც, საგარეო პოლიტიკურშიც, ისინი, უბრალოდ, არსებობენ. არანაირ კონკრეტულ ამოცანას, რომლის მიღწევაც მათ რომ დასახული ჰქონდეთ დროში, საზოგადოება ვერ ხედავს.

***— ივანიშვილზეც იმავეს თქმა შეგიძლიათ?***

— ყველა კარგად ხვდება, ეს თავისთავად ცხადია, რომ ბიძინა ივანიშვილი არაორდინარული ფიგურაა. არავინ იცის, ის რა ვადითაა მოსული ქართულ პოლიტიკაში. საერთოდ, მილიარდერის თუ როგორ ვუწოდო, არ ვიცი, ოლიგარქის ფსიქოლოგია ძალიან სპეციფიკურია. ის, საბოლოო ჯამში, რას გადაწყვეტს, ამისი თქმა ჩემთვის ძალიან რთულია, მაგრამ ფაქტია, მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ის გუნდი, რომელიც შევარდნაძისა და სააკაშვილის წარმატებით ეწეოდა ქვეყნის არასწორ მართვას.

***— ითქვა ისიც, რომ ინფორმაციულ ვაკუუმში ჰყავთ ივანიშვილი. თქვენ რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— ყველა მთავრობაზე, თქვენ გახსოვთ, რომ ის ხალხი, რომელსაც არ უნდოდა ქვეყნის პირველ პირთან ურთიერთობის გაფუჭება და, იმავდროულად, მისი კურსი არ მოსწონდათ, ასე ამბობდნენ, რომ შევარდნაძე ჟვანიას



მსხვერპლია, რომ სააკაშვილი ბოკერიას მსხვერპლია, ახლა იგივე რიტორიკა მიმდინარეობს ივანიშვილზე. მე ამას არ ვემხრობი რა თქმა უნდა, იმიტომ რომ მე ივანიშვილი შეიძლება არ მომწონდეს, მაგრამ ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ სულელია. ის არის ძალიან გონიერი ადამიანი, ძალიან დიდი გამოცდილება აქვს მართვის, პოლიტიკური ურთიერთობების, ამიტომ, მე მგონია, რომ ვერანაირი გარემოცვა მასზე ზეგავლენას ვერ ახდენს. მით უფრო, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მას არა ჰყავს ძლიერი გარემოცვა. ვისზე შეგიძლიათ თქვენ მითხრათ, რომელი მინისტრი ახდენს მასზე ზეგავლენას? გამორიცხულია, პირიქით, თვითონ ახდენს საჭიროზე მეტ ზეგავლენას თავის მინისტრებზე.

***— რესპუბლიკელები მის გარეშე მართავენ პარლამენტსო... ეს რამდენად შეეფერება სიმართლეს?***

— რესპუბლიკური პარტია ჩამოყალიბდა, როგორც ერთგვარი სექტა, რომელსაც ყველაფერი ბრალდება. ნაწილობრივ ამაში თვითონაც მიუძღვით ბრალი, იქცა განტევების ვაცად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და რესპუბლიკელები დიდი ხნის ოპონენტები ვართ ერთმანეთის მიმართ, სიმართლე უნდა ვთქვა, რა თქმა უნდა, რესპუბლიკური პარტია არ წარმოადგენს ამ ხელისუფლებაში ყველაზე დიდ ცოდვილს, უბრალოდ, იმ ხალხს, რომლებსაც პასუხისმგებლობა არ ყოფნით, ხშირად მათ აბრალებენ ხოლმე ყველაფერს და რესპუბლიკელებიც სიამოვნებით იბრალებენ ამას. რეალურად დამეთანხმეთ, რომ რესპუბლიკელებს 10-12 დეპუტატი ჰყავთ და ვერც ერთ გადაწყვეტილებას 10-12 დეპუტატით ვერ მიიღებენ. მთავრობაში მათ ჰყავთ ერთი მინისტრი საერთოდ, რომელიც ყველაზე უმნიშვნელო გავლენით სარგებლობს ამ კაბინეტში. მხედველობაში მყავს ზაქარეიშვილი. რესპუბლიკელების გავლენაზე რაიმე საუბარი ცოტა არასერიოზულია.

***— ასევე არ შემიძლია, პარლამენტის ბოლო გადაწყვეტილებაზე არ გკითხოთ. როგორ შეაფასებდით საკონსტიტუციო ცვლილებებს?***

— მე ვფიქრობ, რომ თვითონ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც მნიშვნელოვანია ფორმა, რომელმაც გამოიწვია ქართველი საზოგადოების აღშფოთება. ეს არის ფარსი, რომელსაც ეწოდება ქართულ ენაზე კოაბიტაცია და რომელიც იწვევს ჩვენი მოსახლეობის აღშფოთებას, იმიტომ რომ, არ არის ლეგიტიმური, როდესაც მიიღება კონსტიტუციური შესწორება კრიმინალური ბანდის თანხმობით. რა თქმა უნდა, ეს არ არის ლეგიტიმური. ამიტომაც ძალიან სამწუხაროა, როცა ჩვენ გვატყუებს ზოგიერთი „ქართული ოცნების“ ლიდერი და ამბობენ, რომ, აი, დემოკრატიამ გაიმარჯვა საქართველოში. როგორც მხედრიონის ხმებით მიღებული კონსტიტუცია არ იყო დემოკრატიის გამარჯვება 95 წელს, ასევე ნაციონალების ხმებით მიღებული კონსტიტუცია ვერ იქნება დემოკრატიის გამარჯვება 2013 წელს. მხოლოდ ის, რომ ადამიანს დეპუტატის მანდატი და სტატუსი აქვს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ლეგიტიმური უფლება აქვს, გადაწყვეტილება მიიღოს ქართველი ერის სახელით.

***— თუმცა, ჩვენ ვხედავთ, რომ არავინ აღიარებს დამნაშავე ძალად ნაციონალურ მოძრაობას...***

— კი, იმიტომ რომ, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის შეზრდის პროცესი მიმდინარეობს. განსაკუთრებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს ეს პროცესი ბიზნესში, სადაც დღეს კეზერაშვილის ბიზნესი „ქართული ოცნების“ მფარველობით ყვავის ისევ ყველგან, სადაც ის საქმიანობდა და ისევ პიქსელიდან იმართება მთელი ქართული ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ნელ-ნელა ეს პოლიტიკურ სიამტკბილობაშიც აისახება და ფაქტია, რომ არც პროკურატურა არ იძიებს არც ერთ სისხლის სამართლის საქმეს, სადაც ნაციონალური მოძრაობის ჩინოვნიკებს ედებათ ბრალად მძიმე კატეგორიის დანაშაულები.

***— წილში შევიდნენ კეზერაშვილთან თუ რა ინფორმაციები გაქვთ?***

— კი, წილში შევიდნენ კეზერაშვილთან, ეს ინფორმაციები მაქვს.

***— ევროპიდან ბევრი საქებარი განცხადება წამოვიდა ახალი ხელისუფლების მისამართით. თქვენი აზრით, ეს საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომხდარი შეთანხმების შედეგია?***

— რასაკვირველია, ევროპა წაახალისებს ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მხრიდან ნებისმიერ დათმობას ნაციონალური მოძრაობის მისამართით. ამას ეწოდება რბილი ძალაუფლება, როდესაც ისინი პირდაპირ კი არ გამოგზავნიან ჯარს და ტანკებს იმ მიზნით, რომ, დავუშვათ, ზეგავლენა მოახდინონ ქართულ პოლიტიკაზე, მაგრამ მიახვედრებენ ივანიშვილს, რომ თუ უნდათ, ივანიშვილს მოეფერონ, ამისთვის მიახვედრებენ, როგორი ქმედებებია საჭირო. ამიტომაც, მე ვფიქრობ, ეს ფარისევლობაა, რასაც დღეს ევროპა აკეთებს. რაც შეეხება ამერიკის ელჩსა და მის ჩარევებს, მე ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით უნდა მოხდეს ნათლად სტანდარტის განსაზღვრა. საქართველოს არა ჰყავს დღეს ეროვნული ხელისუფლება და, თუ გველირსა ოდესმე ეროვნული ხელისუფლება, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ზომიერი სტანდარტი, რა არის დიპლომატიური წარმომადგენლობის ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის სტანდარტი. მე ვფიქრობ, რომ როდესაც საქმე ეხება დემოკრატიულ სტანდარტებს და ადამიანის უფლებებს, ეს ნორმალურია, როდესაც ხდება უცხოეთის სახელმწიფოების ჩარევა ქვეყნის შიდა საქმეებში, რომელი ქვეყანაც არ უნდა იყოს ის, ხოლო ნებისმიერ სხვა საკითხში, შიდა საქმეებში ჩარევა, ჩემი აზრით, უნდა იყოს ასეთი სტანდარტი, რომ კეთდებოდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ყოველგვარი ისტერიკის გარეშე და უნდა სთხოვონ ამ ელჩს, თავი შეიკავოს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევისაგან, როგორც ეს მოხდებოდა ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოში. გარდა ამისა, მე ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება არის ერთგვარად დაკომპლექსებული და ვერ ატარებს იმ საჭირო პიარს, რომელიც აუცილებელია სააკაშვილის წინააღმდეგ ევროპაში. აი, მე, მაგალითად, შემიძლია, შევთავაზო დახმარება, რომ თუკი მექნება რწმუნებები ახალი ხელისუფლების მხრიდან, სამ-ოთხ თვეში შესაძლებელია მოვახდინოთ ნაციონალური მოძრაობის სრული დისკრედიტაცია ევროპაში.

***— ამისთვის რა არის საჭირო?***

— ამისთვის აუცილებელია შესაბამისი მასალების პრეზენტაცია ევროპულ დედაქალაქებში, საკომიტეტო მოსმენები. თუნდაც იუთუბზე კლიპების ატვირთვა და მათი კარგი დარეკლამება, შესაბამისი პუბლიკაციების გამოქვეყნება ევროპულ პრესაში. როდესაც ახალ ხელისუფლებას არჩეული აქვს არასწორი სტრატეგია, როდესაც შენ თვითონ ამბობ, რომ ჩვენ გვინდა კოაბიტაცია ნაციონალურ მოძრაობასთან და მზად ვართ, მას ხელი ჩამოვართვათ, რა თქმა უნდა შემდგომ ევროპელებისთვის გაუგებარია ის, რატომ ეძახიან მეორე დღეს პროკურატურაში წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს. მე, მაგალითად, მგონია, რომ ახალ ხელისუფლებას უნდა მოეწყო სტრასბურგში მოსმენა, უნდა მოეწვია მთელი ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს საპარლამენტო დეპუტაცია და ეჩვენებინა გელაშვილის დანგრეული სახე 2005 წელს, გირგვლიანის გვამი, თეთრაძის მკვლელობის დეტალები უნდა ყოფილიყო ამ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი და შემდეგ უნდა ეკითხათ, რა ვქნათ, ამ დანაშაულის ჩამდენები დავაპატიმროთ თუ ამნისტია გამოვუცხადოთ?! ეს იქნებოდა სწორი მიდგომა. ყველა პოსტდიქტატორული ხელისუფლება ასეთი გზით ახდენს ხოლმე მართლმსაჯულების განხორციელებას. დღევანდელი ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბდეს, არის ნაციონალური მოძრაობა დანაშაულებრივი რეჟიმი, რომელიც უნდა გასამართლდეს თუ არის ნაციონალური მოძრაობა მათი პოლიტიკური პარტნიორი?! სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, ნელ-ნელა ყალიბდებიან იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა არის „ქართული ოცნების“ ღირსეული პარტნიორი.

## საქართველოს დღეს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვევა

საქართველოს, დღეს, ოფიციალური ვიზიტით, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმეთ დავუთოღლუ ეწვევა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი, ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს გამართავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, პრემიერ მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან.

მაია ფანჯიკიძისა და აჰმეთ დავუთოღლუს შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროში დღეს, 14:30 სთ-ზე შედგება, მანამდე კი, სტუმარი გვირგვინით შეამკობს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს.

აჰმეთ დავუთოღლუ ასევე მონაწილეობას მიიღებს 28 მარტს, ბათუმში დაგეგმილ საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის საგარეო მინისტრების სამმხრივ შეხვედრაში.

**ნიუსპრესი**

## მატროსოვის ციხეში თანამშრომელი გარდაიცვალა

სასჯელაღსრულების №9 დაწესებულების, ე.წ. „მატროსოვის ციხის“ ტერიტორიაზე, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, ამავე დაწესებულების სოციალური მუშაკი შ. ბ. გარდაიცვალა.

ინფორმაციას ამის შესახებ სამინისტრო ავრცელებს.

„გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, იმავე დღეს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო მოკვლევა. გამოკითხულნი იყვნენ, როგორც №9 დაწესებულების მსჯავრდებულები, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ შ. ბ. ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც გულის უეცარი შეტევა დაემართა.

სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს შ.ბ-ს გარდაცვალების გამო და ამასთანავე, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ გარდაცვლილის ოჯახის წევრებზე გავრცელდეს შესაბამისი სოციალური დაცვის გარანტიები“ — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში

**ნიუსპრესი**

## ზაზა გაბუნია: „თბილისის მთავარი არქიტექტორი პროფესიით იურისტია“

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ზაზა გაბუნიას განცხადებით, თბილისის მთავარი არქიტექტორი, თანამდებობაზე კანონდარღვევითაა დანიშნული.

გაბუნიას თქმით, გიგი უგულავას მიერ, რამდენიმე დღის წინ წარდგენილი თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ახალი უფროსი, რომელიც არქიტექტურული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 მუხლის მიხედვით მთავარი არქიტექტორია, პროფესიით არქიტექტორი არ არის და იურისტია.

„იმის გამო, რომ თბილისს სხვადასხვა დროს, წლების მანძილზე მთავარ არქიტექტორად ყავდა არა არქიტექტორი და შესაბამისი კვალიფიკაციის არ მქონე პირი, რომელიც ვერ უწევდა წინააღმდეგობას საქართველოს პრეზიდენტის და ქალაქის მერის არქიტექტურულ ახირებებს, — თბილისში მივიღეთ ბევრი უსახური შენობა, რიყის პარკის ტერიტორიაზე არსებული შენობების ჩათვლით“-განაცხადა გაბუნიამ.

მანვე კონფერენციაზე, იმ საფრთხეებზე ისაუბრა, რომელიც თბილისის მთავარი არიქტექტორის თანამდებობაზე არაკვალიფიციური ადამიანის დანიშვნას შეიძლება მოჰყვეს.

**ნიუსპრესი**

## „როსპოტრებნადზორის“ დელეგაცია 40-მდე ქართულ კომპანიას შეამოწმებს

„როსპოტრებნადზორის“ მორიგი 6-კაციანი დელეგაცია თბილისში პირველ აპრილს ჩამოვა და 40-მდე კომპანიას შეამოწმებს.

როგორც გუშინდელ ბრიფინგზე ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, დელეგაციას სამ ჯგუფად გაიყოფა და აჭარაში, სამეგრელოსა და რაჭაში არსებულ საწარმოებსაც შეამოწმებს.

პირველ ეტაპზე შემოწმებული კომპანიები კი ამ დროისათვის პროდუქციას არეგისტრირებენ. მათმა უმეტესობამ საჭირო დოკუმენტაცია სრულად წარადგინა.

„ჩვენთვის ცნობილია, რომ რუსეთის ბაზარზე არსებობს დიდი ინტერესი და მოთხოვნა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში, მიწოდებასაც აჭარბებს. ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნება მხოლოდ მოცულობაზე ზრუნვის მცდელობა, რადგან ჩვენ აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ხარისხი“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა და დასძინა, რომ კომპანიების რეგისტრაციის პროცედურის დასრულებით პროცესში სახელმწიფოს როლი იწურება. შემდგომ ეტაპზე სახელმწიფო კომპანიებს მხოლოდ კომუნიკაციაში დაეხმარება.

დავითაშვილი განმარტავს, რომ რუსეთის ბაზარზე დაბრუნება სხვა ბაზრებზე უარის თქმას არ გულისხმობს. საქართველომ უნდა შეინარჩუნოს ევროპული პოზიციებიც.

„სწორედ ამიტომ ღვინის ეროვნული სააგენტო და ქართული კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ მსოფლიო ფორუმებში, რომელიც შეხვედრების საუკეთესო პლატფორმაა“, — აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

**მედიანიუსი**

# მინისტრები 6300 ლარის ნაცვლად 7 835 ლარს მიიღებენ

## ვინ აიხდინა ქართული ოცნება

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში მინისტრების ხელფასებზე ყოველთვის დიდი წიოკი იყო ატეხილი. განსაკუთრებული ვნებათაღელვა მათ პრემიებს მოსდევდა. მინისტრები საკუთარ თავს დიდ პრემიებს უწერდნენ. ამ მხრივ არც ახალმა ხელისუფლებამ დაიხია უკან. პრემიები დეპუტატებმაც გვარიანად აიღეს. მერე გვიმტკიცებდნენ, ჩვენ რა შუაში ვართ არსებულმა კანონმა გვაიძულა პრემიის აღებაო.

მეოცნებეები დაგვპირდნენ ამ კანონსაც შევცვლით და პრემიებს ველარ გამოიწერენო. ცოტა ხნის წინ გვამცნეს, მინისტრებს დანამატს ვაძლევთ და პრემიებს ველარ გამოიწერენო. ისიც გვაუწყეს მათი ხელფასი 12% შემცირდაო. ეს შემცირებული ხელფასი კი 6300 ლარი გახლავთ. ახლა კი გაირკვა, რომ მინისტრების ჯამაგირი არა 6300 ლარი, არამედ 7835 ლარი იქნება.

„ექსპრესნიუსის" ცნობით, საქართველოს მთავრობის 15 მარტის ბრძანებაში, რომელსაც ხელი ბიძინა ივანიშვილმა მოაწერა, მთავრობის მინისტრები თვეში დანამატის სახით 4 335 ლარს მიიღებენ.

მთავრობის კანცელარიის უფროსის განცხადებებზე დაყრდნობით და ბრძანების ტექსტიდან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრების ხელფასი უცვლელი, 3 500 ლარი რჩებოდა, ხოლო დანამატების ხარჯზე ის 6 300 ლარამდე უნდა ასულიყო.

15 მარტს პრემიერ-მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების მიხედვით, ყოველთვიური ხელფას დანამატის სახით თითოეული სახელმწიფო მინისტრი 4 335 ლარს მიიღებს, რაც 3 500 ლარიან ხელფასთან ერთად ჯამში 7 835 ლარს შეადგენს.

როგორც მთავრობის კანცელარიის უფროსი მაია ცქიტიშვილი და მთავრობის პრესცენტრი 13 მარტს აცხადებდა, მინისტრების ხელფასები 12% ით მცირდებოდა და ხელზე მინისტრები ხელფასის სახით 6 300 ლარს მიიღებდნენ.

– მინისტრების ყოველთვიური ხელფასი – 3500 ლარი – უცვლელი რჩება, თუმცა მათი ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, რომელსაც ხელზე აიღებენ, 6300 ლარამდე იზრდება დანამატების ხარჯზე. გამოირიცხება ყოველთვიური პრემირების პრაქტიკა და მინისტრებს პრემიას თავად პრემიერ-მინისტრი გამოუწერს წელიწადში ერთხელ საკუთარი შეხედულებისამებრ, – აცხადებდა ცქიტიშვილი.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრების ხელფასი 12%-ით მცირდებოდა და მთავრობა უარს ამბობდა იმ პრაქტიკაზე, როდესაც მინისტრები ყოველ თვე, ან თვეში რამდენჯერმე, თვითონვე იწერდნენ პრემიებს.

ვერაფერს იტყვი, მინისტრებმა მართლაც აიხდინეს ქართული ოცნება. ახლა ჯერი ხალხის ოცნებების ახდენაზეა. ისე რა უცნაურია ყველაფერი, მეოცნებეები ნაციონალებს უგმობდნენ მსგავს ქმედებებს, ახლა თავადაც იგივეს აკეთებენ. ამ დროს კი საქართველოში ათეულობით ათას ოჯახს მოუხსნეს სოციალური დახმარება. მაგრამ მერე რა, მთავარია მინისტრები იყვნენ კარგად. სოციალურად დაუცველები კი თავს როგორმე გაიტანენ.

# ავთო მარგიანი: „საქართველოს პრეზიდენტად კენჭი ივანიშვილმა უნდა იყაროს"

## პრემიერის სახელზე საგანგებო მიმართვა მზადდება

შორენა მარსაგიშვილი

**დღეს დიდი მსჯელობაა იმაზე, თუ ვინ იქნება საპრეზიდენტო არჩევნებზე „ქართული ოცნების" კანდიდატი. ყოფილი ვიცე-პრემიერი ავთო მარგიანი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტად კენჭი ივანიშვილმა უნდა იყაროს. ამ მოთხოვნით პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი საქართველო" ივანიშვილს საგანგებო მიმართვას გაუგზავნის.**

რატომ უნდა გახდეს პრეზიდენტი ივანიშვილი, ვის უნდა მოერიდოს პრემიერი, რა საფრთხე ელოდება „ქართული ოცნების" ლიდერს გარემოცვისგან, ამ თემებზე ყოფილი ვიცე-პრემიერი „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ავთო მარგიანი:**

– ბიძინა ივანიშვილის გარეშე ოცნება ოცნება არ იქნებოდა. ის, როგორც კაცი, როგორც ქველმოქმედი და როგორც პოლიტიკოსი, საუკეთესოა. ამ კაცს უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული. ამ ყველაფრის გვირგვინი კი მაინც სამების საკათედრო ტაძარია. მე ამ კაცის მუშაობა ძალიან მომწონს. ყველაფერს სწორად აკეთებს. ამის მიუხედავად, ერთ რჩევას მაინც მივცემ: „ერიდე მათ. ვინც აგწია მაღლა. მათ შეუძლიათ, ღრმად დაგცენ დაბლა".

***– ამით რის თქმა გინდათ, რომ მას რაიმე ხიფათი ელოდება?***

– როგორც ყველა მაგარ კაცს. მტრები ბიძინა ივანიშვილსაც ჰყავს. ხიფათი მას იმდენად არა მტრებისგან, არამედ გვერდში მყოფებისგან ელოდება.

***– ამ განცხადებას რაიმე ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებთ?***

– რად მინდა რამე ინფორმაციაზე დაყრდნობა. პროცესებს თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ყველაფერი ხელისგულივით ნათლად ჩანს.

***– მისი გარემოცვა არ მოგწონთ, ეტყობა.***

– მომწონს, არ მომწონს, ეგ არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ გარემოცვას ყველაზე კარგი მმართველის დაღუპვა შეუძლია. სამწუხაროდ არც ივანიშვილს ჰყავს კარგი გარემოცვა. ასეთი შეცდომა დაუშვა ზვიად გამსახურდიამ. ასეთი შეცდომა დაუშვა ედუარდ შევარდნაძემ. ორივე მათგანი გარემოცვამ დაღუპა. არ მინდა, ეს კიდევ ერთხელ გამეორდეს. იმედია, ივანიშვილი ჩემს რჩევას გაითვალისწინებს.

***– პირადად თუ იცნობთ ივანიშვილს?***

– რა თქმა უნდა, ვიცნობ და ამით ძალიან ვამაყობ.

***– ერთმანეთს ნახულობთ ხოლმე?***

– არც მას და არც მე დრო არ გვაქვს, რომ ხშირად შევხვდეთ. იმ დღეს ვნახე პატრიარქის იუბილეზე. როგორც კი დამინახა, მომაფრინდა და შინაურულად გადამკოცნა. მეუღლესთან, ეკა ხვედელიძესთან ერთად იყო იქ მოსული. ძალიან კარგი ხალხია ეს ხვედელიძეები. 2 ძმადნაფიცი მყავს ხვედელიძე. იქაც მინდოდა, რაღაცები მეთქვა, მაგრამ პატრიარქის იუბილეზე ხომ ვერ დავიწყებდით საუბარს. არადა, რამდენი რამე მაქვს სათქმელი.

***– მაინც რა გინდოდათ, რომ გეთქვათ?***

– ცნობილი ფაქტია, რომ ფუტკარი როგორც კი გამოჩნდება, ასი ბუზი დაესევა მის მიერ წარმოებულ თაფლს. ივანიშვილი არის ფუტკარი. მის გარშემო ბევრმა ბუზმა მოიყარა თავი. რამდენიმე მათგანი უკვე შემაწუხებლად ბზუის. ისინი ივანიშვილმა უნდა მოიცილოს, თორემ შეიძლება პრობლემები შეექმნას. მართალია, ვერაფერს დააკლებენ, მაგრამ რაში სჭირდება ამ კაცს პრობლემა. მოიცილოს ეს ხალხი, თორემ შეიძლება უღალატონ. ხომ გაგიგიათ, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო. მე ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ ნაციონალები მისი გარემოცვის გადაბირებას შეეცდებიან.

***– გადაიბირებენ?***

– რამდენიმე, ალბათ, უღალატებს. ქართული პოლიტიკა ღალატის გარეშე არ არსებობს. ვიღაცებს თავად გაუშვებს და ძალიან მალე ივანიშვილს იდეალური გუნდი ეყოლება.

***– და როდის დადგება ეს მალე?***

– მალე დადგება, მალე. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ივანიშვილი ძალიან მაგარი გუნდის ლიდერი იქნება.

***– ახლა არ არის მისი გუნდი მაგარი?***

– მაგარი არის, მაგრამ არ არის ძალიან მაგარი და რამდენიმეს ერთგულება საეჭვოა. ძალიან მაფიქრებს ისიც, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა.

***– ეს რაიმე ხიფათს მოუტანს ქვეყანას?***

– რა თქმა უნდა. აი, რას ამბობდნენ ჩვენი წინაპრები: „თუ სახედარს ჰყავს 2 პატრონი, მგელი გახდება მისი ბატონი". ასევე არის მეორე გამოთქმა: „თუ ბევრი მწყემსი გაჰყვება, ნახე ნახირის გაწყვეტა". ამიტომაც მიმაჩნია, რომ ქვეყანას უნდა ჰყავდეს ერთი პატრონი.



***– ქვეყანას 1 ოქტომბრამდე ჰყავდა ერთი პატრონი – მიხეილ სააკაშვილი.***

– რა პატრონი. სააკაშვილი ქვეყნის კი არა, საკუთარი თავის პატრონიც არ იყო, აკეთებდა იმას, რასაც ამერიკელები და მასონები სთხოვდნენ.

***– ამბობენ, რომ ივანიშვილიც ამერიკელების დაკრულზე ცეკვავს.***

– მაგას ვერ დავიჯერებ. ცოტა რაღაცებში უწევს ანგარიშს დასავლეთს. საბედნიეროდ, მისთვის მთავარია, რას ფიქრობს ქართველი ხალხი. ყველაფერს თავისი გამოცდილება სჭირდება. ამ ადამიანს უდიდესი საქმეები აქვს ნაკეთები, მაგრამ პოლიტიკური გამოცდილება არა აქვს. ეს რამდენჯერმე უკვე გამოჩნდა.

***– სად გამოჩნდა?***

– 100 დღის მუშაობის ანგარიში რომ ჩაგვაბარა.

***– არ უნდა ჩაებარებინა?***

– უნდა ჩაებარებინა, მაგრამ არა 100 დღის შემდეგ. 9 თვის თავზე უნდა წარმდგარიყო ხალხის წინაშე ანგარიშით. ბავშვიც კი არ იბადება 9 თვეზე ადრე.

***– როგორ არა, შვიდთვიანებიც ხომ იბადებიან.***

– ეგ იშვიათად ხდება. იმედია, ასეთ შეცდომებს აღარ დაუშვებს. საბედნიეროდ, 100 დღეშიც ბევრი რამე გააკეთა. პოლიტიკური კავშირი „ერთიანი საქართველო", რომელიც 27 პოლიტიკურ ორგანიზაციას აერთიანებს, საგანგებოდ აპირებს, მიმართოს ბიძინა ივანიშვილს.

***– რასთან დაკავშირებით მიმართავთ?***

– მხარდაჭერას ვუცხადებთ და გვინდა, რომ ეგ იყოს „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი.

***– პრემიერად ცუდად მუშაობს?***

– კარგად რომ მუშაობს, მაგიტომაც უნდა გახდეს პრეზიდენტი. ქვეყანას მაგის მსგავსი პრეზიდენტი სჭირდება.

***– დაგთანხმდებათ?***

– პელე, ალბათ, გაგებული გექნებათ, უდიდესი ფეხბურთელი იყო. მსოფლიოში მისი მსგავსი ჯერ არ დაბადებულა. მას ასჯერ მაინც სთხოვეს, გუნდის კაპიტანი იყავიო, მაგრამ იძახდა, არ მეკუთვნისო. ბიძინას კაპიტნობა ეკუთვნის და უნდა გახდეს კიდევაც ქვეყნის კაპიტანი.

***– ივანიშვილმაც პელესავით რომ გითხრათ, არ მეკუთვნისო. მაშინ რას იზამთ?***

– მაშინ ვეტყვით, რომ ქვეყანას ეკუთვნის მისნაირი კაპიტანი. ამაზე უარს არ იტყვის. ის ქვეყნის საკეთილდღეოდ ყველაფერს გააკეთებს. მართლა ბედნიერი იქნება ის ქვეყანა, რომელსაც მისნაირი პრეზიდენტი ეყოლება. სააკაშვილის ხელში დაგვავიწყდა, რას ნიშნავს კარგი პრეზიდენტი.

***– თქვენი უფროსი მეგობარი, შევარდნაძე, ამბობს, რომ დღემდე ისაა საქართველოს პრეზიდენტი.***

– ედუარდს გადადგომაზე განცხადება არ დაუწერია. ის ჩემთვის ყოველთვის პრეზიდენტი იქნება.

***– რას იზამთ, კენჭი რომ იყაროს?***

– თუ ბიძინა გადაწყვეტს, ედუარდი წინააღმდეგი არ წავა, გზას დაუთმობს. სააკაშვილი კი არ არის, სკამს ჩააფრინდეს. ასეთი არაფერი გამიგია, კაცი იძახის, თან პრეზიდენტი ვარო, თან ოპოზიციაო. ახლა აიკვიატა ერთი რაღაც – ხელისუფლებაში უნდა დავბრუნდეო.

***– ყოფილმა დეპუტატმა კობა ხაბაზმაც თქვა, ხელისუფლებაში ჩვენი დაბრუნება გარდაუვალიაო.***

– ხაბაზი რომელი ნოსტრადამუსია, რაღაცებს რომ წინასწარმეტყველებს?! დაბრუნების შანსი მას მართლაც აქვს. არავინ უშლის, დაბრუნდეს თავის მშობლიურ სოფელში.

# დაინტერესდება თუ არა ახალი ხელისუფლება ვეტერანების პრობლემებით

შორენა მარსაგიშვილი

მიხეილ სააკაშვილმა ომის ვეტერანების მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება არაერთხელ გამოამჟღავნა. 2011 წლის 3 იანვარს სწორედ მისი ბრძანებით დაარბიეს მოშიმშილე ვეტერანები. ეს ხალხი საშიმშილოდ იმიტომ დასხდა, რომ სოციალური პირობების გაუმჯობესება მოითხოვეს. მათი პირობები იდეალური არასდროს ყოფილა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა.

ვარდოსნების რისხვას ვეტერანთა დეპარტამენტი გადაურჩა, თუ ამას გადარჩენა ჰქვია. დეპარტამენტში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დატოვეს. იქ მხოლოდ ის ხალხი მუშაობდა, რომლისთვისაც ნაციონალური მოძრაობა იყო ძვირფასი.

ამ წლების მანძილზე ვეტერანებს გაუსაძლის პირობებში უწევდათ ყოფნა. ვეტერანთა დეპარტამენტს კი არც ერთხელ არ გამოუხატავს პროტესტი. ხმა არც მაშინ ამოუღიათ, როცა ვეტერანებს თითქმის ყველა შეღავათი გაუუქმეს.

წესით და რიგით, დალხენილები არც დეპარტამენტის თანამშრომლები უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა, როგორც ჩვენი პრეზიდენტი იტყოდა, ნურას უკაცრავად. საჯარო ინფორმაციებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელებს საკმაოდ ხშირად აუღიათ პრემიები.

პრემიებს შემდეგი პირები: ნუგზარ ცაგარეიშვილი, ჯანრი უბირია, დავით წულუკიძე, ლალი ფურცელაძე, თეა ჭანტურია და ირმა ჯაყელი იღებდნენ. მამაკაცები პრემიებს ხელფასის 200 პროცენტის ოდენობით იწერდნენ, ქალები კი – 100% ოდენობით. როგორც ხედავთ, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, პრემიების ამბავში ქალების დისკრედიტაციას აქვს ადგილი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. თუმცა, თუ გულწრფელად გეტყვით, აქ სახუმარო არაფერია.

ერთი შეხედვით, არც პრემიების გამოწერაში გახლავთ რაიმე საგანგაშო, თანაც ნაციონალი მმართველები საკუთარ თავს პრემიებით ხშირად ანებივრებდნენ. შესაბამისად, არც ვეტერანთა დეპარტამენტში იქნებოდა ამ მხრივ სხვანაირად საქმე.

აქ საკითხავი ისაა, რამდენად ჰქონდათ მათ პრემიების გამოწერის მორალური უფლება. ისინი იმ დროს იღებდნენ პრემიებს, როცა ვეტერანთა აბსოლუტური უმრავლესობა შიმშილის ზღვარზე იმყოფებოდა. როგორც თავში უკვე ვთქვით, ეს ხალხი იდეალურად და მათი დამსახურების საკადრისად არასდროს ცხოვრობდა. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ეს სურათი მეტ-ნაკლებად ცხადად რომ წარმოიდგინოთ, პატარა სტატისტიკას შემოგთავაზებთ:

2003 წლამდე ვეტერანთა დეპარტამენტში იყო 120 თანამშრომელი. მას საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი. ვარდების რევოლუციიდან 3 წელიწადში ანუ 2006 წელს ვეტერანთა დეპარტამენტი დაიყვანეს 90 თანამშრომლამდე. 2011 წელს მთლიანად ვეტერანთა დეპარტამენტი წარმოადგენდა 27 თანამშრომელს. ფაქტობრივად, მოხდა დეპარტამენტის ლიკვიდაცია.

ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, დაიკეტა ქუთაისში არსებული ჰოსპიტალი, რომელიც ვეტერანებს ემსახურებოდა. ვეტერანთა რეაბილიტაციის ცენტრებად გამოყოფილი საკურორტო ზონები ცხვარიჭამიასა და წყალტუბოში ჩამოერთვა დეპარტამენტს. ისინი საპრივატიზაციოდ ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა. როგორც კახა ბენდუქიძე იტყოდა, ყველაფერი უნდა გაიყიდოს, სინდისის გარდა.

გაყიდვას ვეტერანთათვის განკუთვნილ ჰოსპიტალსაც უპირებდნენ. ეს ჰოსპიტალი თბილისში, დიდუბეში მდებარეობს. ამ შენობას საინტერესო რეალობა გააჩნია. შენობა ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის, მედპერსონალი – ჯანდაცვის სამინისტროს, დაფინანსება კი თავდაცვის სამინისტროზეა.

2003 წლამდე ვეტერანებს დენსა და გაზზე გარკვეული შეღავათები ჰქონდათ. სააკაშვილმა მათ ეს შეღავათები მოუხსნა. ვეტერანებს დარჩათ ერთადერთი შეღავათი. ეს 22-ლარიანი დახმარებაა.

ამ დახმარებასაც ყველა ვეტერანი ვერ იღებდა. დახმარებას მხოლოდ იმათ აძლევდნენ, ვისაც ნაომრობის მოწმობა 2009 წლამდე ჰქონდა აღებული.

სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთეს, რომ ვეტერანები მიწასთან გაესწორებინათ. რა ჯინი სჭირდათ, ნამდვილად ვერ გეტყვით. შესაძლოა, ეს ერთგვარი კომპლექსიც იყო, რადგანაც, როცა ეს ხალხი საქართველოსთვის იბრძოდა, ნაციონალების დიდი ნაწილი, სააკაშვილის თამადობით, საკუთარ ცხოვრებას იწყობდა.

ძველი ხელისუფლება გამუდმებით ამერიკულ ღირებულებებზე გვებაასებოდა. თუმცა, როცა საქმე ვეტერანებზე მიდგებოდა, იქ ამერიკას არ ახსენებდნენ. ამერიკაში ვეტერანები მართლაც სათანადოდ არიან დაფასებული.

ახლა საქართველოს სხვა ხელისუფლება ჰყავს. თავდაცვის მინისტრიც და ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარეც შეიცვალნენ. იმედია, ისინი მაინც დააფასებენ ვეტერანებს და სათანადო პირობებს შეუქმნიან იმ ხალხს, ვინც წლების განმავლობაში სამშობლოს ემსახურა.

# დავით დარჩიაშვილი: „ხელისუფლებას სურვილი აქვს, საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელში ჩაიგდოს“

შორენა გონგლაძე

**„საქართველოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატიამ და ხალხის ნებამ თავი იჩინა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში. მოსახლეობის უმრავლესობამ გადაწყვიტა, ხმა მიეცა „ვარდების რევოლუციონერთა" წინააღმდეგ, რადგანაც მათ დემოკრატიის გზას გადაუხვიეს და მოინდომეს. შეექმნათ საკმაოდ ავტორიტარული, მოდერნიზებული რეჟიმი. მოქალაქეები შიშობდნენ, რომ დადგებოდა დღე, როდესაც საარჩევნო ბიულეტენი დაკარგავდა საზოგადოებაზე მზარდი კონტროლის საწინააღმდეგო იარაღის ძალას. უნდა ვაღიაროთ, რევოლუციონერებს არცთუ ისე ხშირად უხდებათ წასვლა დემოკრატიული არჩევნების შედეგად, როცა რევოლუციონერთა ლიდერებს აღარ რჩებათ სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ დაემორჩილონ უმრავლესობის ვერდიქტს.**

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში, ხოლო „ქართული ოცნების“ მოვალეობა დემოკრატიზაციის პროცესების გაფართოება და გაღრმავება იქნება. ახლო მომავალში სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას საქართველოს ყველა მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ მისცა ხმა ხალხის დიდმა უმრავლესობამ თქვენს კოალიციას და სწორედ ამიტომ გენდობიან ისინი თქვენ, როგორც პრემიერ-მინისტრს. ბოდიშს ვუხდი საქართველოს მოქალაქეებს, თუკი ოდესმე ჩავრეულვარ საქართველოს საქმეებში. ასეთი რამ არ განმეორდება. მართლაც, საქართველო ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ეს არის მცირე ამონარიდი იმ ღია წერილიდან, რომელიც საქართველოში შვეიცარიის ელჩმა გიუნტერ ბეხლერმა პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს მიმართა.

რა თქმა უნდა, ბატონი ბეხლერის წერილი ახალი ხელისუფლებისთვის ფრიად სასიამოვნო და სტიმულის მომცემი ფრაზებითაა დატვირთული, მაგრამ არცთუ სასიამოვნო მოსასმენია ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. მართალია უსიამოვნო, მაგრამ მაინც მოუხდა წერილზე კომენტირება საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელს, დავით დარჩიაშვილს გუშინ „პრაიმტაიმის“ პრეს-კლუბში გამართული პრესკონფერენციისას.



დარჩიაშვილმა, როგორც წერილის „მძიმე“ შინაარსიდან გამომდინარე, დაასკვნა, რომ შესაძლოა ბატონ ელჩს სულ სხვა რამის თქმა უნდოდა და თარგმანში გაპარული უზუსტობების გამო მოხდა წერილის შინაარსის ინტერპრეტირება. საპარლამენტო უმცირესობის წევრის დავით დარჩიაშვილის განცხადებით, შვეიცარიის ელჩის წერილი არაკორექტულია, თუკი ეს ადეკვატური თარგმანია.

— შორს ვარ აზრისგან, რომ არ იყოს პრობლემები დემოკრატიის თვალსაზრისით, სასამართლოს აბსოლუტურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არის პროცესი, რომელიც მთავარია, უკან არ დავაბრუნოთ“, — განაცხადა დარჩიაშვილმა.

მისივე თქმით, ევროპის სახალხო პარტია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალაა და მისი შედარება საბჭოთა კავშირთან უხერხულია.

— არ ვიცი, რა წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს ამას შვეიცარიის ელჩი. ევროპის სახალხო პარტია ერთ-ერთი დიდი და მნიშვნელოვანი კოალიციაა და ვისი აზრი უფრო პოლიტიკურად ანგარიშგასაწევია, საზოგადოებამ თვითონ განსაჯოს. ევროპის წამყვანი პარტიის შედარება საბჭოთა კავშირთან უხერხულია, თუ რა თქმა უნდა, ეს ადეკვატური თარგმანია“, — აღნიშნა დარჩიაშვილმა. მისი თქმით, სასურველი იქნება, წერილის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განმარტება გააკეთოს.

— არ გამოვრიცხავ, შვეიცარიის ელჩს ეგულისხმა ერთი და მეორე გამოსვლოდა. ასეთი რამ ხშირად ხდება. სასურველი იქნებოდა, ჩვენი დიპლომატიური არხებით გარკვევა, რასთან გვაქვს საქმე, თუმცა ჩვენი დიპლომატიური სამსახური უფრო ერთი კონკრეტული პარტიის სამსახურში დგას. ქალბატონ ფანჯიკიძეს, ალბათ, გაახარებდა ასეთი განცხადება, — განაცხადა დარჩიაშვილმა.

დარჩიაშვილმა პრესკონფერენციაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონპროექტის გარშემოც ისაუბრა და განაცხადა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონპროექტის მფარველ ანგელოზად პარლამენტში ელისო ჩაფიძე გვევლინება.

დარჩიაშვილის თქმით, სასამართლოების მსგავსად, ხელისუფლებას სურვილი აქვს მაუწყებელი ჩაიგდოს ხელში.

— სასამართლოების მსგავსად, ხელისუფლებას აქვს სურვილი, საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩაიგდოს ხელში. სწორედ ამას ემსახურება ის კანონპროექტი, რომელიც მაუწყებლის შესახებ პარლამენტში იქნა ინიცირებული და რომლის „მფარველ ანგელოზად“ ელისო ჩაფიძე გვევლინება. გარდა ამისა, ამ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი თამარ კორძაია შუალედურ არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატად სახელდება, რაც თავისთავად აჩენს ეჭვებს. ამ კანონპროექტის კიდევ ერთი ავტორი ბატონი ლაშა ტუღუში თავის დროზე „რესპუბლიკური“ პარტიის წევრი გახლდათ და მათი პოლიტიკური შეხედულებები ყველასთვის ცნობილია, ასევე ცნობილია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს ყოველთვის ახასიათებდათ პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიები. რეფორმის კონტურები შეიძლება იყოს ძალიან კარგი, შეიძლება ეს ყველაფერი ქაღალდზე დღეს უკეთესად არის დაწერილი, ვიდრე ადრე, მაგრამ საქმე ეხება კადრების მყისიერ ცვლას და საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონთანაც ევროპელებს აქვთ ის შენიშვნა, რომ არ აცლიან არსებულ ხელმძღვანელობას დაასრულოს თავისი ვადა, — აცხადებს დარჩიაშვილი.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, დარჩიაშვილის თქმით, ნორმა რომელიც კონსტიტუციიდან იქნა ამოღებული, თავის დროზე ზურაბ ჟვანიას იდეა იყო.

დარჩიაშვილის თქმით, უმცირესობაში ბევრ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და ეს ნორმალური მოვლენაა.

— იმ მუხლზე, რომელზეც ახლა საკონსტიტუციო ცვლილებები იქნა მიღებული და ამბობდნენ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ იყო ჩაწერილი, გეტყვით, რომ ეს ასე არ არის და ის ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდიდან მოდის. ეს თავის დროზე ზურაბ ჟვანიას ინიციატივა იყო. დაინტერესებულ ჟურნალისტებს ამის გადამოწმება ალბათ უპრობლემოდ შეეძლებათ. რაც შეეხება ქალბატონი კობახიძის განცხადებას, რომ უმცირესობაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, გეტყვით, რომ აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად არსებობს და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მთავარია ამ პირობებში შეინარჩუნო პრინციპული ერთიანობა. სააკაშვილი არის უპირობო ლიდერი, როგორც კი დასრულდება საპრეზიდენტო ვადა, ის ლიდერად დარჩება, — აცხადებს დარჩიაშვილი.

დარჩიაშვილის განცხადებით, საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტით ხელისუფლება ცდილობს თავის თავზე მოირგოს სასამართლო. მისივე თქმით, თუ ვენეციის კომისიის დასკვნები არ იქნა გათვალისწინებული, ეს სერიოზულ პრობლემას შექმნის ევროპასთან ინტეგრაციის კუთხით.

— მისივე თქმით, თუ საპარლამენტო უმრავლესობა ზემოხსენებულ კანონპროექტს არსებული რედაქციით მიიღებს, პრეზიდენტმა მას ვეტო უნდა დაადოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნების“ დეპუტაცია ამ ვეტოს გადალახავს, მაშინ შესაძლოა, ოპოზიციამ საკონსტიტუციო სარჩელზეც იფიქროს და გაარკვიოს, თუ რამდენად შეესაბამება ეს კანონპროექტი ქვეყნის კონსტიტუციას. მისი თქმით, კონსულტაციების გზით გამოჩნდა შეთანხმების შანსი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული.

— იმედს გამოვთქვამ, რომ ეს კონსულტაციები საერთო სასამართლოების შესახებ დამთავრდება კონკრეტული შედეგით. არაერთხელ ითქვა, რომ მყისიერი შეცვლა ხელმძღვანელობის იმ ინსტიტუტებში, რომელიც დისტანცირებული უნდა იყოს პარლამენტთან, ეს არის საშიში გზა. ეს არის მცდელობა, რომ ხელისუფლებამ თავის თავზე მოირგოს სასამართლო. გამოჩნდა შანსი, რომ რაღაც შეთანხმებამდე მივიდეთ, მაგრამ როგორც წესი, დემოკრატიულ ქვეყნებში ბურთი უმრავლესობის მოედანზეა. თუკი იქნება უმრავლესობის ნება, არ არის გამორიცხული, კანონპროექტის ნაწილი დაბრუნდეს მეორე მოსმენის სტადიაში. საქმე არა მხოლოდ შიდა ბალანსზეა, არამედ ჩვენს ევროპული მომავლის პერსპექტივაზე. მე იმედს ვიტოვებ, ეგება და შეხების წერტილები მოიძებნოს, — აცხადებს დარჩიაშვილი.

---

# სოლომონ პავლიაშვილი: „ბანკებიც და ბიზნესიც ისევ ნაციონალების ხელშია“

შორენა კოწოწაშვილი

**ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, სოლომონ პავლიაშვილი, მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ალტერნატიული ბაზრების მოძიებაზე უნდა იზრუნოს და ყველაფერი გააკეთოს, რომ ვინმეს საბოტაჟის განხორციელების საშუალება არ მისცეს.**

რა საფრთხეები არსებობს მთავრობის წინაშე და რამდენად მნიშვნელოვანია პრემიერის პიროვნული ფაქტორი ინვესტიციების მოზიდვაში? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორ, პროფესორ სოლომონ პავლიაშვილთან.

***— ბატონო სოლომონ, რამდენად იკვეთება ახალი ხელისუფლების პირობებში ეკონომიკური წინსვლა? საპარლამენტო უმცირესობა აცხადებს, რომ არჩევნების შემდგომ ეკონომიკური წინსვლა შეჩერებულია.***

— ამ ეტაპისთვის ძალიან ძნელია რაიმე სიღრმისეულად შეაფასო, ეკონომიკური პროცესებისთვის დროა საჭირო. შეიძლება ეს წამგებიანიც იყოს, მაგრამ თუ გინდა, შეფასებას აზრი ჰქონდეს და სწორად თქვა, ეს პოზიტიურია თუ ნეგატიური, ამას დრო სჭირდება ანუ ახალ მთავრობას დრო სჭირდება პოზიტიური სვლებისთვის. შორეულ პერსპექტივაში რა იქნება, ეს არის მნიშვნელოვანი, თუმცა იმპულსურად ისე ჩანდეს, რომ ეს არის კარგი და მნიშვნელოვანი, რომ კარგი რაღაც კეთდება, ანდა რაღაც არასწორად კეთდება. დროა საჭირო, რომ არგუმენტირებული შეფასებები გავაკეთოთ. ჯერ მხოლოდ ოთხი თვეა გასული და ამ პერიოდში რომც გინდოდეს, რაიმე სასწაულს ვერ მოახდენ. თუმცა დაპირებების ნაწილი, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს, უდავოდ პოზიტიურია. თუნდაც სოფლის მეურნეობის პროგრამა ავიღოთ. ძალიან მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება და ვაუჩერების დარიგება. ეს, როგორც ერთჯერადი პროცესი, ნამდვილად კარგია, მაგრამ ამას არ უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რა არის თავისი ფუნქცია. სახელმწიფოს ფუნქცია ეს ნამდვილად არ არის. სახელმწიფოს ფუნქციაა სოფლის მეურნეობაში ხელი შეუწყოს ინფრასტრუქტურის განვითარებას, სალიზინგო მეურნეობის განვითარებას და ამას აკეთებს კიდეც. მექანიზაციების ცენტრები იქმნება, დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა დაიწყეს. მცირე ბიზნესის განვითარებისთვის 30-დან 600 ათას ლარამდე ოდენობის სესხები გაიცემა. ადამიანები არ უნდა დავაჩვიოთ ამას და კერძო სექტორში მომუშავე ადამიანები არ უნდა ჩამოვკიდოთ სახელმწიფო ბიუჯეტს. ამას ემატება ისიც, რომ რეგიონებში დაზარალებულმა მოსახლეობამ მიიღო დახმარებები, რომელიც კერძო პირმა გასცა. 100 მლნ-მდე თანხა დარიგდა, თუმცა ამ კუთხით ძალიან ცუდად იმუშავეს როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ისე ადგილებზე თვითმმართველობამ და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა. ამის მიტანა არ მოხდა მოსახლეობამდე, როგორც საჭირო იყო. ამიტომ მინისტრებმა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა უფრო მეტი უნდა იარონ რეგიონებში. 100 მლნ დაარიგა კაცმა და დღეს უფრო მეტი ადამიანი უნდა ყოფილიყო კმაყოფილი, ყველას რომ შესაბამისად ემუშავა. ეს იყო ივანიშვილის კეთილი ნების გამოხატულება, რადგან ეს სტიქიით დაზარალებული ნაკვეთები არც დაზღვეული იყო და არც ამის ანაზღაურების ვალდებულება არ ჰქონდა პრემიერს. საზოგადოებამ კარგად უნდა გაიგოს, რომ ჩვენ უნდა წავიდეთ დაზღვევის გზით. სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო პაკეტი უნდა შევქმნათ. ადამიანებმა ზარალის ანაზღაურება საჭიროების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიიდან უნდა მიიღონ.

***— სწორი აგრარული პოლიტიკა წამოიწყო ახალმა ხელისუფლებამ?***

— კი, უდავოდ. ის იმპულსები, რაც კეთდება, უდავოდ პოზიტიურია. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს სწორედ ის არის, რაც პირველ ეტაპზე უნდა გაკეთდეს. თუმცა ვიმეორებ, ამას არ უნდა ჰქონდეს გრძელვადიანი ხასიათი. თუ მომავალ წელს გლეხი ისევ დაელოდება, მიწა ხელისუფლებამ მოუხნას და დაამუშაოს, არასწორი იქნება. ხალხი უნდა იყოს ინფორმირებული, რომ ხელისუფლების მხრიდან მიწის მოხვნის სამუშაოები კეთდება იმისათვის, რომ მომავალი წლიდან უკვე გლეხმა განახორციელოს კვლავწარმოება. ეს არის გამონაკლისი, ხელისუფლების კეთილი ნება. ამას ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. მთავრობამ გაითვალისწინა, რომ ეს ხალხი დაზარალდა. თითქმის ყველა რეგიონში იყო სტიქიური უბედურებების გამო ზარალი მიყენებული. კარგია, რომ მთავრობა ახორციელებს ხვნას, მაგრამ მომავალში თვითონ გლეხებმა უნდა გააკეთონ ეს. კარგია, რომ სარწყავი და საირიგაციო სისტემების მოწესრიგება ხდება.

***— სადაზღვევო კომპანიები ერიდებოდნენ სოფლის მეურნეობის სექტორის დაზღვევას. ამ კუთხით დადებითი ტენდენციები თუ გამოიკვეთა?***

— ბანკებთან დაკავშირებით დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა და მცირე ბიზნესში დასაქმებული პირები მიიღებენ 30 ათასიდან 600.000 ლარამდე სესხს. სესხის გაცემასთან ერთად თავიდანვე უნდა იყოს გამოკვეთილი პასუხისმგებლობა და არა ისე, როგორც ადრე იყო, რამაც 1993-94 წლებში ინფლაციური პროცესები გამოიწვია. თუ არ ვცდები, 800 მლრდ-ის კუპონი იქნა გაცემული 500 სუბიექტზე. ცალსახად უნდა იყოს განსაზღვრული სოფლის მეურნეობაში ადგილებზე ვინ იქნება ამ სესხებზე პასუხისმგებელი, მიმღები და დამბრუნებელი. ამ მხრივ, რაღაც სამუშაოები ხორციელდება. დაიწყო იმ 50 მლნ-იანი პაკეტის განხორციელება სოფლის მეურნეობაში, რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურის, გზების და გარემოს დაცვის სამუშაოების განხორციელებას. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ არაფერი კეთდება და წინსვლა არ არის. დანარჩენი, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ბაზრების მოძიებაზე, სახელმწიფომ ალტერნატიული ბაზრების მოძიებას უნდა შეუწყოს ხელი ექსპორტთან მიმართებაში, იგივე ციტრუსთან, ღვინოსთან, ალკოჰოლურ სასმელებთან დაკავშირებით. მარტო რუსეთის ბაზარი პანაცეა ვერ იქნება. ეს უნდა იყოს კოქტეილის პრინციპით გაკეთებული. ყველა რეგიონი უნდა იყოს ჩართული ამ ჩვენს საექსპორტო საბაზრო ხელშეწყობისთვის.

***— ბოლო დღეებში ნაციონალურმა მოძრაობამ კუდი მოიქნია. პრეზიდენტის სიტყვებია, მას პოლიტიკიდან ვერავინ გაიყვანს. ორხელისუფლებიანობის პირობებში ბევრი საუბრობს დღეს საბოტაჟის ნიშნებზე, პრეზიდენტი კი — ინვესტიციების შეჩერებაზე.***

— ის, რომ იგივე იმ 100 მლ-ნის დარიგებას არ მოყვა სათანადო ეფექტი, ესეც გარკვეული საბოტაჟის შედეგია, ხელისუფლებამ ვერ იმუშავა პიარის კუთხით. ნაციონალები ელემენტარულ რამესაც კი დიდ პიარს უკეთებდნენ. თუ ადგილებზე ნაცმოძრაობის წარმომადგენლები იყვნენ, მაშინ ეს სამუშაო ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა. საბოტაჟი რომ ვერ გაგიბედონ, ისეთი მენეჯერების მოყვანაა საჭირო, რომლებსაც სახელმწიფო თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება აქვთ. მხოლოდ პარტიული ნიშნით არ უნდა ხდებოდეს თანამდებობაზე დანიშვნა.



გაგრძელება მე-7 გვერდზე

# კოტე გაბაშვილი: „პოლიტიკაში აღარ დავბრუნდები“

ნათია ხურცილავა

**იტალიაში საქართველოს ყოფილმა ელჩმა გადადგომის მიზეზებზე გუშინ „პრაიმ ტაიმის" პრესკლუბში პრესკლუბში ისაუბრა.**



კოტე გაბაშვილმა ელჩის თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც ბიძინა ივანიშვილის კოალიციამ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა. გაბაშვილმა საკუთარი ნებით დაწერა გადადგომის შესახებ განცხადება.

კოტე გაბაშვილის განცხადებით, თანამდებობიდან მისი წასვლის მთავარი მიზეზი ქვეყნის საგარეო კურსის დაუბალანსებელი ჯამური პოლიტიკა გახდა. ყოფილმა ელჩმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ მას გაუჭირდებოდა იმ დავალებების შესრულება, რომელსაც ის საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძისგან მიიღებდა.

— მე ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მე შეცდომა არ დამიშვია, ერთია მოქალაქეების განცდა და მეორე დიპლომატის ცხოვრება, რთულია შეასრულო დავალება, რომელსაც არ ეთანხმები და რომლის სისწორისაც არ გჯერა. მე ეს დავინახე და ამიტომ წავედი, — აღნიშნავს გაბაშვილი.

ყოფილი ელჩი აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლების კურსი მკვეთრად განსხვავებული იქნებოდა წინა ხელისუფლებისგან და ამიტომაც მიიღო გადაწყვეტილება. გაბაშვილი ამბობს, რომ ის საქმე, რომელსაც ის აკეთებდა, იმ დიპლომატმა უნდა გააკეთოს, რომელსაც ამ გზის სჯერა.

— მე ჩავთვალე, რომ საგარეო კურსი იქნებოდა მკვეთრად განსხვავებული იმისგან, რასაც მე ვაკეთებდი, ასევე მიმაჩნდა, რომ ის ხერხები, რომლითაც დიპლომატია დაიწყებდა სიარულს, იქნებოდა ის, რა გზითაც მე ვერ ვივლიდი. გადავწყვიტე, რომ ეს მას უნდა ეკეთებინა, ვისაც ამ პოლიტიკის სისწორის სჯერა, — განაცხადა გაბაშვილმა.

კოტე გაბაშვილის განმარტებით, საუბარი არ არის მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროზე, საქმე ეხება პარლამენტის, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგად საქმიანობას.

ყოფილი ელჩი ასევე გამოეხმაურა პრემიერ ივანიშვილის მიერ რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნას.

გაბაშვილი პრემიერ-მინისტრის მიერ რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნას სკეპტიკურად უყურებს.

ყოფილი ელჩი აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის პრობლემა ჩვენ არასდროს არ გვქონია.

— ვერ ვხედავ რუსეთის ხელისუფლებისგან ვერც ერთ ნაბიჯს, რომელიც რაიმე შერბილებაზე მეტყველებს. პუტინი რომ რაიმეს დაარბილებს, ამისი საკუთარ ოჯახს არ სჯერა და მე ვერ დავიჯერებ. რუსეთის ხელისუფლებას არ ვენდობი და მეჩვენება, რომ შერბილებული ნაბიჯები თავის ან ხალხის მოტყუებაა. რაც შეეხება სავაჭრო ურთიერთობებს და ღვინოზე ემბარგოს მოხსნას, არავინ არ იცის, ეს ემბარგო რა და როგორ იქნება, თუმცა სავაჭრო ურთიერთობების აღდგენაზე ჩვენ პრობლემა არასდროს გვქონია. რაც შეეხება ქართველი მოცეკვავეების მიერ იქ გამართულ კონცერტს, კულტურული ღონისძიებები მანამდეც ტარდებოდა, თუმცა არა კრემლში, — განაცხადა გაბაშვილმა.

კოტე გაბაშვილი პრესკონფერენციაზე ასევე გამოეხმაურა საქართველოში შვეიცარიის ელჩის გაუნტერ ბეხლერის წერილს, რომლის ადრესატიც პრემიერი ბიძინა ივანიშვილი და ქართველი ხალხია.

შვეიცარიის ელჩმა თავის წერილში ევროპის სახალხო პარტიის მიმოწერა პრემიერ-მინისტრთან გააკრიტიკა.

იტალიაში საქართველოს ყოფილი ელჩი სკეპტიკურად უყურებს დიპლომატის მიერ გამოქვეყნებულ წერილს და მიიჩნევს, რომ „შეუძლებელია, რომელიმე ევროპელ ელჩს გაერისკა და ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკა გაეკრიტიკებინა“.

— ეს შეუძლებელია, ევროპის სახალხო პარტია ყველაზე დიდი ევროპული გაერთიანებაა, არ მგონია, რომელიმე ელჩს ასე გაერისკა და გაეკრიტიკებინა იმ პარტიის პოლიტიკა, რომელსაც თავადაც ეკუთვნის. მგონია, რომ ეს რაღაც გაუგებრობაა, — განაცხადა გაბაშვილმა.

ზოგადად გაბაშვილმა ევროპის სახალხო პარტიასა და საქართველოს მთავრობას შორის გამართული მიმოწერა უარყოფითად შეაფასა.

კოტე გაბაშვილის განცხადებით, აღნიშნული მიმოწერა ევროპაში საქართველოს მიმართ უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

გუშინ პრესკონფერენციაზე კოტე გაბაშვილმა თავის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. გაბაშვილისთვის პოლიტიკური ასპარეზი, როგორც ჩანს, მრავალწლიანი საქმიანობის შემდეგ მომაბეზრებელი აღმოჩნდა, რადგან, როგორც ამბობს, აქტიურ პოლიტიკაში ჩაბმას არ აპირებს.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, ყოფილი ელჩი აცხადებს, რომ ამის მიუხედავად, ის 19 აპრილს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილ აქციაზე აუცილებლად მივა.

როგორც გუშინ კოტე გაბაშვილმა აღნიშნა, ასეთი აქციის გამართვა ერთგვარი აუცილებლობაც კი არის.

— პოლიტიკაში აქტიურ ჩაბმას არ ვაპირებ. რაც შეეხება აქციას, იქ აუცილებლად მივალ, რადგან ეს იქნება იმის ჩვენება, რომ საქართველოში უნდა არსებობდეს დემოკრატიის ისეთი ელემენტი, როგორიც არის ორი, სამი ან რამდენიმე პარტიის ერთად არსებობა. რადგან ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ არის უმცირესობაში, მისი უფლება და ვალდებულებაა მსგავსი აქცია გამართოს, — განაცხადა გაბაშვილმა.

ყოფილ ელჩს ჟურნალისტებმა საგარეო საქმეთა მინისტრის მუშაობის შეფასება სთხოვეს.

ელჩმა საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის მუშაობის შეფასებისას განაცხადა, რომ ის რუტინულ სამუშაოს ასრულებს.

— მე მისი მუშაობის შეფასება ამ ეტაპზე ძალიან მიჭირს, რადგან ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ერთად ვმუშაობდით. ფანჯიკიძე რუტინულად მუშაობს და მისდევს იმ პოლიტიკას, რაც უნდა აკეთოს. ყველაფერი მასზე არ არის დამოკიდებული, უბრალოდ, ასრულებს იმ დავალებებს, რასაც ხელისუფლება აძლევს. რუტინულ მუშაობაში, რა თქმა უნდა, ნეგატიურს არ ვგულისხმობ, ეს არის დიპლომატიის ერთ-ერთი მიმართულება. იყო რაღაცები, რაც არ მომეწონა, თუმცა არის რაღაცები, რასაც დადებითად ვაფასებ, — განაცხადა კოტე გაბაშვილმა.

# მაია ფანჯიკიძე შვეიცარიის ელჩის წერილით კმაყოფილია

ნათია ხურცილავა

**საგარეო უწყების ხელმძღვანელი მაია ფანჯიკიძე გამოეხმაურა საქართველოში შვეიცარიის ელჩის გიუნტერ ბეხლერის წერილს, რომლის ადრესატიც ბიძინა ივანიშვილია.**



საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასებით, შვეიცარიის ელჩი საქართველოში მხოლოდ თავის დიპლომატიურ მოვალეობას კი არ ასრულებს, არამედ მიმდინარე მოვლენებს ღრმად და საფუძვლიანად სწავლობს.

— შვეიცარიის ელჩი არა მარტო გამოცდილი დიპლომატი, არამედ ანალიტიკოსიცაა. ვფიქრობ, ეს წერილი ნათლად აჩვენებს, რომ უმჯობესია ადამიანმა საქართველოში სიტუაცია კარგად შეისწავლოს და შემდეგ გააკეთებს სწორ შეფასებებს. შვეიცარიის ელჩი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ თავის დიპლომატიურ მოვალეობას კი არ ასრულებს, არამედ ღრმად და საფუძვლიანად სწავლობს მიმდინარე მოვლენებს და ეს მას საშუალებას აძლევს, რომ სწორი და სრული სურათი ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

შვეიცარიის ელჩმა გიუნტერ ბეხლერმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ევროპის სახალხო“ პარტიის ზოგიერთმა წევრმა კარგად აითვისა საბჭოთა სტილის პროპაგანდისტული მეთოდები და მათი განცხადებები საერთოდ არ შეესაბამება საქართველოში არსებულ რეალობას.

— მე, როგორც საქართველოს მეგობარი და ანალიტიკოსი, რომელიც თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე მუშაობს, ვაცხადებ, რომ ეს მიმართვები, წერილები და განცხადებები სრულიად არ შეესაბამება პოლიტიკურ რეალობას საქართველოში. გუშინდელი ღია წერილი გახლავთ შესანიშნავი პასუხი და ბრწყინვალედ გამოხატავს საქართველოს მოქალაქეთა შეშფოთებასა და ემოციებს. როგორც პრემიერ-მინისტრი, თქვენ, ალბათ, ვალდებული ბრძანდებით, მკაფიოდ უპასუხოთ ასეთ ცრუ ბრალდებებს საქართველოს ახალი და კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ვიტყოდი, რომ არც კი ღირს პასუხის გაცემა ასეთ ზედაპირულ შეფასებებსა და, როგორც ჩანს, შეთანხმებულად წარმოებულ პროპაგანდაზე ზოგიერთი შეცდომაში შეყვანილი ევროპარლამენტარის მხრიდან, — წერს თავის წერილში შვეიცარიის ელჩი.

ელჩი ევროპის „სახალხო პარტიის“ ზოგიერთ წარმომადგენელს საბჭოთა პროპაგანდის მეთოდის ათვისებაში სდებს ბრალს.

— მეტად საინტერესოა, რამდენად კარგად აითვისა ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთმა წევრმა საბჭოთა სტილის პროპაგანდისტული მეთოდები, მეთოდები, რომლებსაც ისინი, რასაკვირველია, საჯაროდ უარყოფენ.

მართლაც, საქართველო ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე ოდესმე ყოფილა წარსულში, და ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე მისი მეზობელი ქვეყნები. საქართველოს მოქალაქეებთან საუბარში იგრძნობა მათი თავისუფლება, მათ არ აწუხებთ შიში და აღსავსე არიან იმედით, რომელიც მათი ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს უკავშირდება. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში, ხოლო „ქართული ოცნების“ მოვალეობა დემოკრატიზაციის პროცესების გაფართოება და გაღრმავება იქნება. ახლო მომავალში სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას საქართველოს ყველა მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ მისცა ხმა ხალხის დიდმა უმრავლესობამ თქვენს კოალიციას და სწორედ ამიტომ გენდობიან ისინი თქვენ, როგორც პრემიერ-მინისტრს, — წერს თავის წერილში შვეიცარიის ელჩი.

შვეიცარიის ელჩი საქართველოში გიუნტერ ბეხლერი იმ მიზეზებზეც საუბრობს თუ რა გახდა 1 ოქტომბერს წინა ხელისუფლების მარცხის მიზეზი და ამის მიზეზად „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დემოკრატიის გზიდან გადახვევას ასახელებს.

— საქართველოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატიამ და ხალხის ნებამ თავი იჩინა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში. მოსახლეობის უმრავლესობამ გადაწყვიტა, ხმა მიეცა „ვარდების რევოლუციონერთა“ წინააღმდეგ, რადგანაც ისინი დემოკრატიის გზას გადაუხვიეს და მოინდომეს შეექმნათ საკმაოდ ავტორიტარული მოდერნიზებული რეჟიმი. მოქალაქეები შიშობდნენ, რომ დადგებოდა დღე, როდესაც საარჩევნო ბიულეტენი დაკარგავდა საზოგადოებაზე მზარდი კონტროლის საწინააღმდეგო იარაღის ძალას. უნდა ვაღიაროთ, რევოლუციონერებს არცთუ ისე ხშირად უხდებათ წასვლა დემოკრატიული არჩევნების შედეგად, როცა რევოლუციონერთა ლიდერებს აღარ რჩებათ სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ დაემორჩილონ უმრავლესობის ვერდიქტს, — ამბობს ელჩი.

## ბაშარ ასადის რეჟიმს საწვავით ქართული კომპანიებიც ამარაგებდნენ

სირიის კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციის – „ადამიანის უფლებები პირველ რიგში“ მიერ გამოქვეყნებული ახალი ანგარიშის მიხედვით, ირკვევა, რომ ბაშარ ასადის რეჟიმის დახმარებაში მცირე წვლილი საქართველოსაც შეჰქონდა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქართულ კერძო კომპანიებს სირიაში ადგილობრივი ხელისუფლებისთვის განკუთვნილი საწვავი (დიზელი) შეჰქონდათ.

„მცირე ზომის გემებს სირიაში საწვავი საქართველოდან და ლიბანიდანაც გადაჰქონდათ. შეერთებული შტატები ლიბანის და საქართველოს ხელისუფლებებსაც საგარეო დახმარებას უწევს, რაც აშშ-ს შესაძლებლობას აძლევს, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლებებს ამ რეპორტების გამოძიებისაკენ მოუწოდოს“, — ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტში ნახსენები არ არის ის ქართული კერძო კომპანიები, რომლები ასადის რეჟიმს საწვავით ამარაგებდნენ.

მედიანიუსი

## ლევან ბერძენიშვილი: „ვენეციის კომისიის დასკვნა 100 პროცენტით არც ერთ ქვეყანას არ გაუთვალისწინებია“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, ვენეციის კომისიის დასკვნა 100 პროცენტით არცერთ ქვეყანას არ გაუთვალისწინებია, რადგან ეს შეუძლებელია.

ამის შესახებ ლევან ბერძენიშვილმა გუშინ გაზეთ პრაიმ-ტაიმის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ყველაფერი გათვალისწინებული იქნება თუ არა, ეს მოლაპარაკებების საგანია. ვენეციის კომისიის დასკვა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას 100 პროცენტით არ გაუთვალისწინებია. ეს შეუძლებელია. მაშინ ყველა კანონი ერთნაირი იქნებოდა. ვენეციის კომისიას ერთი გემოვნება აქვს“, — აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით სრული თანხვედრა არსებობს საპარლამენტო უმრავლესობასა და უზენაეს სასამართლოს შორის, რაც საკმარისია ვენეციის კომისიისთვის.

ბერძენიშვილის განმარტებით, მათ ინტერესშია, რომ საპარლამენტო უმცირესობასთან კომპრომისს მიაღწიონ, ისე როგორც ეს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მოხდა.

მედიანიუსი

## ორხევის ხიდთან ქმარმა ცოლი წამებით მოკლა

თბილისში, ორხევის ხიდთან, ქმარმა ცოლი წამებით მოკლა.

როგორც „მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა აცნობა, 20 მარტს ორხევის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქმარმა ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე, საკუთარ ავტომანქანაში დანით მოკლა.

მისი თქმით, ამჟამად ეჭვმიტანილი დაკავებულია. ის თავად მივიდა პოლიციაში და სამართალდამცავებს ჩაბარდა.

შს სამინისტროს ცნობით, გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

# თეატრალურ უნივერსიტეტში თეატრის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ

ეკა ირემაშვილი

27 მარტს, თეატრის საერთაშორისო დღეს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული თეატრალური ონლაინ ჟურნალის ჯორჯიანთეატრე.ჯის პრეზენტაცია გაიმართება.

— ამ ვებგვერდის მიზანია საქართველოში პროფესიული თეატრალური კრიტიკის განვითარება და მაყურებელთან უკუკავშირის დამყარება. ეს არის თეატრის პროფესიონალებისა და მოყვარულთა ერთგვარი ტრიბუნა, სადაც მათ შეუძლიათ, საკუთარი აზრი გამოხატონ. საიტზე განთავსებულია სპექტაკლების რეცენზიები, ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესების ანალიზი, მსოფლიო თეატრის ტენდენციები და ასევე თბილისის თეატრების მთელი თვის თეატრალური აფიშა, — აღნიშნავს პროექტის კოორდინატორი გვანცა გულიაშვილი.

საიტისთვის მასალის მომზადება სათეატრო სფეროში მოღვაწე ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

— ჩვენი ავტორები არიან გიორგი ყაჯრიშვილი, ლაშა ჩხარტიშვილი, თეა კახიანი, მაკო გოჩაშვილი, ნუცა კობაიძე, გვანცა გულიაშვილი. ვებგვერდის კონსულტანტია მიხეილ კალანდარიშვილი — საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი კრიტიკისა და თეორიის მიმართულებით. საიტის პრეზენტაციაზე მოწვეულნი არიან თეატრის მმართველები, რეჟისორები, მსახიობები და თეატრის კრიტიკოსები. პრეზენტაციის შემდეგ კი გაიმართება დისკუსია ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესების შესახებ, — აღნიშნულია სპეციალურ განცხადებაში.

ახალი ქართული თეატრალური ონლაინ ჟურნალის პრეზენტაცია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ გიზო ჟორდანიას აუდიტორიაში ჩატარდება.

# „საქართველომ სწორი საგადასახადო და საინვესტიციო სტრატეგია უნდა შეიმუშაოს“

**ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის საჭიროა ინვესტირების უწყვეტი პროცესი. ამ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა საერთაშორისო ფინანსურ და ინვესტირების საერთაშორისო კონსულტანტს აზია-აფრიკისა და ამერიკის ქვეყნებში ირაკლი ბერძენაძეს.**

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

***— ბატონო ირაკლი, საქართველოს განიხილავენ, როგორც განვითარებადი სამყაროს ნაწილს, თუმცა ტიპიურად მაინც ექნება განსხვავება, რას გვეტყოდით ამ საკითხზე?***

— დღეს მსოფლიოში 3 ტიპის ქვეყნების კატეგორიას განიხილავენ: განვითარებულ, განვითარებად და მესამე სამყაროს ქვეყნებს. განვითარებადის სტატუსი მსოფლიომ მიაკუთვნა ისეთ ქვეყნებს, რომლებიც იმყოფებიან სიღატაკის მიღმა, მაგრამ ამთავითვე განიცდიან სწრაფი ეკონომიკის ზრდას, ასეთი ქვეყნები არის ინდოეთი, ბრაზილია, ნიგერია და ა.შ. სადაც, საქართველოსგან განსხვავებით, მათი ეკონომიკის, მშპ-ს წლიური ზრდა საკმაო მაღალი ტემპებით ხორციელდება, რაც პარალელურად აისახება მათი ცხოვრების დონის ზრდაზე და გარკვეული კუთხით ხელს უწყობს საშუალო ფენის ჩამოყალიბებას. რაც შეეხება პარალელს საქართველოსთან, თუ სტატუსით მივუდგებით, საქართველო არის განვითარებადი ქვეყანა, მაგრამ თუ მივუდგებით და შევადარებთ ბევრ აფრიკულ, აზიურ განვითარებად ქვეყნებს, გაირკვევა, რომ მათ საკმაოდ ტემპებით ჩამოვრჩებით როგორც ცხოვრების დონით, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებით. აფრიკის ქვეყნების მიმართ ხშირად ამბობენ, რომ თითქოს იქ სიღატაკეა. შევადაროთ ბოტსვანა საქართველოს, შეიძლება არავინ არ დაიჯეროს, რომ თუ საქართველოში თვიური საშუალო ხელფასი მერყეობს 350-400 დოლარის ფარგლებში, ბოტსვანაში აღნიშნული მაჩვენებელი მერყეობს 800-900 დოლარამდე. თუ განვიხილავთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას, რაც განაპირობა უკანასკნელი 22 წლის უგუნურმა და არარსებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკა დღეს საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია და წააგავს იმ გემს, რომელიც დიდი ხნის ჩაძირულია და ჯერ ხავსი არ გასჩენია.

***— თქვენ ამბობდით, რომ საქართველოში არც ისე მომხიბლავი გარემოა ინვესტირებისათვის, რა არის ამის მიზეზი?***

— რათქმაუნდა, დღესდღეობით საქართველოში არანაირი წინაპირობა არ არის ინვესტორ-ებისთვის, რომ მოახდინონ თავიანთი კაპიტალდაბანდებების განხორციელება ქვეყანაში და რეალურად შეიქმნას მშპ, რომელიც თავისთავად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას ხელს შეუწყობს და გამოიწვევს სხვა პირდაპირ და არაპირდაპირი ბენეფიციარების ზრდას როგორც ბიზნესსექტორში, ასევე სამოქალაქო სექტორში. იმისათვის, რომ ინვესტორი შემოვიდეს ქვეყანაში, აუცილებელია სწორი ეკონომიკური და საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა, ჰუმანური საგადასახადო სისტემა, დამოუკიდებელი სასამართლო. ეკონომიკურ და საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრას უნდა აკეთებდეს ეკონომიკის სამინისტრო და მასთან დაქვემდებარებული საინვესტიციო სააგენტო, რომელიც თავისი ფუნქციონირების განმავლობაში მხოლოდ გასვლით „ტურებზე“ იყვენენ ორიენტირებული, მაგრამ დღეს აღნიშნული უმოქმედობა უკვე სავალალო მდგომარეობას გამოიწვევს. არ არის არანაირი საინვესტიციო პოლიტიკა, არანაირი საგადასახადო პირობები ინვესტორებისათვის, ამასთანავე ქვეყანაში არ არის არანაირი ბიზნესკულტურა, არაფერს ვამბობ გაუმართავ საბანკო სისტემაზე, რომელიც ორიენტირებული არის არა ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად, არამედ პირიქით, მისი შევიწროვებისთვის, რაც არასწორი მიდგომაა, რადგან რეალურად ქვეყნის ეკონომიკა დგას საბანკო სექტორზე. ყველაზე ცუდი ტენდენცია არის ის, რომ ინვესტიციად განიხილება ყველაფერი საქართველოში. მაგალითად, ინდოეთის მოქალაქე ჩამოვიდა, იყიდა მიწა, ამასაც ინვესტიციად თვლიან, ან თუნდაც ირანის მოქალაქემ იყიდა საცხოვრებელი ბინა, ესეც აღიქმება ინვესტიციად და ამით იბერება ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების რაოდენობა. ეს ის მიდგომაა, რომელიც ჰქონდა წინა მთავრობას და რომელიც სწორად ამით ზრდიდა ინვესტიციების რაოდენობას. არადა ინვესტიცია არის ის, რაც ქმნის დოვლათს და ეს ყველაფერი აისახება მშპ-ს ზრდაზე. ჩვენს ქვეყანას, თუ არ მოახდინეს შიდა წარმოების ზრდა, რეალურად არანაირი ეკონომიკური მომავალი არ გააჩნია. მხოლოდ ბორჯომით, ღვინოთი ვერ განვითარდება ქვეყანა, მაგრამ არის წყალი უდიდესი რესურსი, რომელსაც ნავთობის ფასი აქვს არაბული ქვეყნებისათთვის. რეალურად, საქართველომ უნდა აიღოს რეგიონში და ევროპაში გარკვეული სტატუსი, უნდა იყოს ჰაბი გარკვეულ სფეროში; მაგალითად, როგორც არის დუბაი, ჰონკონგი. ეს არის შესაძლებელი გამომდინარე დღევანდელი მდგომარეობიდან თუ გადავხედავთ ევროპაში არსებულ მძიმე კრიზის და კიდევ, რაც მათ წინ ელით. შეიძლება ითქვას, რომ სწორი საინვესტიციო-ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში საქართველოს აქვს უნიკალური შანსი, რომ მოახდინოს კაპიტალის გადმოდინება ევროპიდან და ბევრი აზიის ქვეყნიდან, სადაც ძალიან მაღალი გადასახადებია. სამწუხაროდ, ამის ვერანაირ ნიშანს მე ვერ ვხედავ. ჩემი აზრით, საქართველოსთვის ზედგამოჭრილია ჰონკონგის ეკონომიკური და თურქეთის მცირე-საშუალო ბიზნესის განვითარების მოდელი, რადგან ეს იქნება ზედგამოჭრილი საქართველოსთვის, რათა იყოს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი დაცული ყოველგვარი ზეწოლისგან. ვფიქრობ, რომ პრემიერ-მინისტრი, რომელიც ჩემთვის პირადად არის გარანტორი ბიზნესის დაცულობაზე და შსს-ს მინისტრი, რომელიც არის გარანტორი ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ქვეყანას იმ კონდიციამდე მიიყვანენ, რომ საქართველო მართლაც გახდება არათუ რეგიონის, არამედ ევრაზიაში ერთ-ერთი საუკეთესო საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყანა, მაგრამ ამას სჭირდება დრო, ერთ და ორ დღეში ეს ვერ მოხდება. მითუმეტეს, როდესაც ბოლო წლები ნგრევისა და უბედურების მეტი არაფერი ისმოდა საქართველოდან და ის რეიტინგები, რომელსაც ასე ხშირად მოიხმარს ხოლმე ძველი ხელისუფლება, ინვესტორებისთვის საქმის მხოლოდ 1 %ს წარმოადგენს და არანაირ გავლენას არ ახდენს მათ გადაწყვეტილებაზე.

***— საქართველოში მანკიერ მხარედ ჩანს ბიზნესსექტორის სახელმწიფოსთან დამოკიდებულება, ანუ ბიზნესი სახელმწიფო გავლენისაგან თავისუფალი არ არის. როგორ შეაფასებდით ამ საკითხს?***

— საქართველოში არის ჩამოყალიბებული ბიზნესმენების 2 კატეგორია: პირველი, რომლებიც მთავრობის ცვლილებასთან ერთად განიცდიან გაკოტრებას (რადგან მათ სახელისუფლებო ბიზნესებს ეძახიან) და მეორე, რომლებიც ერგებიან ნებისმიერ მთავრობას და თვითონვე გამოხატავენ სურვილს სახელმწიფოსთან ურთიერთობაზე (ზოგჯერ ნებით და ზოგჯერ ძალითაც). ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ეს იყო ბიზნესის პირდაპირი შეურაცხყოფა და კლასიკური მოდელი იმის, თუ როგორ არ უნდა მოექცე ბიზნესს. ასეთი რამ, რაც საქართველოში ხდებოდა, არ მინახავს და არც გამიგონია ისეთი ქვეყნებიც, როგორიც არის ბევრი დიქტატორული რეჟიმის ქვეყანა. თუნდაც ავიღოთ საუდის არაბეთი, ქუვეითი, ემირატები, აზია-აფრიკის ქვეყნები. საქართველოში რაც ხდებოდა უკანასკნელი პერიოდის მანძილზე და რამაც გააჩინა ბევრი „ბიზნესმენი“, რომელთაც მორალური უფლება არ აქვთ, ერქვათ ბიზნესმენი. ერთს კი ვიტყვი, თუ სახელმწიფო-ბიზნეს შორის არის იდეალური დამოკიდებულება, ეს არის სიგნალი იმის, რომ ბიზნესი განიცდის ზეწოლას ან საქმე გვაქვს მონოპოლიების ფორმირებასთან. ბიზნესმენის მთავარი მოვალეობა არის ის, რომ მან გადაიხადოს გადასახადი და ამის გარდა მას არანაირი მოვალეობა არ გააჩნია ხელისუფლების წინაშე. ამის მაგალითად მოგიყვანთ ბევრ ფაქტებს აშშ-დან; კერძოდ, ვიცი საკმაოდ ბევრი ბიზნესმენი, რომელთაც არ იციან ვინ არის ამერიკის პრეზიდენტი, ვინ არის გუბერნატორი ან სენატორი. მიკითხავს მათთვის, თუ რატომ არ არიან ჩართულები და რატომ განიცდიან ინფორმაციულ ვაკუუმს, მათი პასუხი არის იდენტური: სახელმწიფოს ჩვენ ვუხდით გადასახადებს, ეს არის ის, რაც მაკავშირებს სახელმწიფოსთანო. ეს არის სწორი მიდგომა, მაგრამ საქართველოში გამომდინარე ქართული მენტალიტეტიდან, ეს არ მოხდება, რაც სამწუხაროა და არ არის კარგი ბიზნესისთვის. ასევე მინდა გამოვხატო ჩემი აზრი იმაზე, რომ ხდება ინვესტორების შემოყვანა უშუალოდ სახელმწიფოს მიერ, ეს დაუშვებელია და ჩემი აზრით სახელმწიფო პირები, თუნდაც მინისტრები, ამაში არ უნდა იყვნენ ჩართულები. როდესაც ინვესტორი შემოდის (საუბარი მაქვს ჭეშმარიტ ინვესტორებთან), ისინი ყოველთვის სწავლობენ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობიდან დაწყებული ყველა დეტალს, 1-3 თვეში ინვესტორის შემოყვანა ეს არის ფანტაზია, ინვესტორის შემოყვანის სტანდარტული ვადა არის 2-4 წელი, მაგრამ ამ პროცესში არ უნდა იყოს ჩართული არცერთი მინისტრი და არც რომელიმე სახელმწიფო მოხელე, რადგან ეს ბიზნესმენების მხრიდან საკმაოდ ცუდად აღიქმება და არ ჯდება ბიზნესეთიკაში. ჩემთვის, როგორც კონსულტანტისთვის, ძალიან სასაცილოდ ჟღერდა, როდესაც წინა ხელისუფლების დროს ვიგებდი ინვესტორებთან შეხვედრა არის და მათ გადაწყვიტეს საქართველოში ინვესტიცია, ეს არის არასერიოზული განცხადება. ამით ქვეყნის სტატუსი უფრო მეტად კნინდება, ვიდრე ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ, რადგან ერთი შეხვედრით გადაწყვეტილი ინვესტიცია არ მახსოვს არც ჩემს პრაქტიკაში. ვფიქრობ, ამ მხრივ სიტუაცია უმჯობესდება. მხოლოდ ფორუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობა ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკას ვერ შექმნის და ინვესტორს ვერ დაუმტკიცებს, თუ რით არის საქართველოს მცირე ბაზარი უკეთესი მეზობელი ქვეყნების ბაზარებზე. სწორი პოლიტიკის პირობებში საქართველომ თუ შეიმუშავა სწორი საგადასახადო და საინვესტიციო სტრატეგია, თურქეთიდან მულტინაციონალური კომპანიების შემოყვანა არ გაჭირდება.

***— ჩვენს ქვეყანას აქვს დიდი სამეცნიერო პოტენციალი, მაგრამ ბიზნესკულტურა — მცირე. გამოსავალი სად უნდა ვეძებოთ?***

— მეცნიერება არის სახელმწიფოს პრეროგატივა, ბიზნესს ვერ მოვთხოვთ, ინვესტიცია ჩადოს მეცნიერებაში, რადგან პერიოდი მოგების მიღებამდე ყოველთვის არის საკმაოდ გრძელვადიანი, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, მოგება საერთოდ ვერ მიიღოს. ჩვენი ქვეყანა ვერ გაუწევს კონკურენციას აშშ-ს, იაპონიას, სამხრეთ კორეას, გერმანიას, რადგან ამის არც ფინანსური რესურსები არ გააჩნია როგორც ბიზნესსექტორს, ასევე სახელმწიფოს და უფრო ნაკლებად მომგებიანი იქნება აღნიშნული.

# როგორ უნდა იკვებოს ერთ წლამდე ასაკის ბავშვი

მერი ნამორაძე

დემოგრაფთა ნაწილის რჩევა-შეგონება, ერთ წლამდე ასაკის ბავშვებზე ოჯახებისათვის სიმბოლური დახმარების დანიშვნის აუცილებლობის შესახებ, მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩა. ახალი ხელისუფლების მიერ შექმნილმა დემოგრაფიული განვითარების ფონდმა აქცენტი ისევ მესამე შვილის წახალისებაზე გააკეთა. არადა, სინამდვილესთან გაცილებით ახლოს აღმოჩნდნენ ისინი, რომლებიც პირველი შვილის აღზრდაშიც კი ოჯახების დახმარების აუცილებლობას ხედავდნენ. დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, ავთანდილ სულაბერიძემ, არაერთხელ აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბრისას, რომ ძველ თუ ახალ მთავრობას დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფციაში არაერთხელ შეახსენა, ჯერ პირველი და მეორე შვილის გაჩენა-გამოზრდა უნდა მოახერხოს ოჯახმა, რომ მესამეზე იფიქროს. არადა, სამი შვილის ყოლის სურვილი ბევრ ქართულ ოჯახს აქვს. შვილის გაჩენის გადავადება კი (ზოგჯერ უვადო გადავადებაც) სოციალური პრობლემების გამო ხდება. სწორედ რომ წლამდე ასაკის ბავშვების გამოკვება ჯდება ძვირი, მით უმეტეს, იმ მშობლებისათვის, რომლებიც იძულებულნი არიან ხელოვნური საკვებით გამოკვებონ ბავშვი. რაიმე ფინანსური დახმარების არსებობა კი სწორედაც რომ სრულფასოვან გამოკვებაში დაეხმარებოდა ოჯახებს.



ერთი წლის ასაკის ბავშვის შიმშილით გარდაცვალების ფაქტმა, ალბათ, უნდა გამოაფხიზლოს ყველა ის უწყება, რომელსაც მომავალი თაობის ჯანმრთელობის თუ სოციალური დაცვის მოქნილი მექანიზმების ამოქმედება ევალება. წლამდე ასაკის ბავშვისათვის შეუფერებელმა კვების რაციონმა პატარა გიორგის დაღუპვა გამოიწვია. მაინც რა უჯდებათ ოჯახებს წლამდე ასაკის პატარების გამოკვება და რა უნდა გაითვალისწინონ მშობლებმა, რომ ბავშვის იმუნური სისტემის შენებას სათანადოდ შეუწყონ ხელი? ამასთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ექიმ-პედიატრს, მადონა ხაზარაძეს ესაუბრა. ქალბატონმა მადონამ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება, რომ დედის ძუძუ შეუცვლელი საკვებია ბავშვისათვის, თუმცა ხშირად დედებიც არასრულფასოვნად იკვებებიან.

**მადონა ხაზარაძე:**

— მხოლოდ ძუძუთი კვებაზე ბავშვები იმყოფებიან 6 თვის ასაკამდე. 6 თვის ასაკიდან, დედას საკმარისიც რომ ჰქონდეს რძე, უნდა მიეცეს ბავშვს შემატებული საკვები. იგულისხმება ბოსტნეულის პიურე ან რომელიმე ფაფა, რომელსაც ექიმი შეარჩევს. თუ ბავშვს ზედმეტი წონა აქვს, ვაძლევთ მხოლოდ ბოსტნეულის პიურეს. თუ ნორმალური ან ნაკლები წონა აქვს, პირველ რიგში ვამატებთ ფაფას.

***— თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარეს, დედების რა პროცენტი ახერხებს ძუძუთი გამოკვებოს შვილი 6 თვემდე?***

— დაახლოებით 60 პროცენტი ახერხებს. ბოლო ხანებში მოიმატა ძუძუთი კვების მაჩვენებელმა.

***— ეს დედათა ინფორმირებულობის ამაღლების შედეგია თუ ხელოვნური საკვების სიძვირის გამო ცდილობენ ძუძუთი კვებაზე ჰყავდეთ ბავშვი?***

— ინფორმირებულობა ნამდვილად ამაღლებულია. იციან დედებმა, რომ ძუძუ შეუცვლელი საკვებია, რომლითაც საკვები ინგრედიენტების გარდა, ბავშვს გადაეცემა იმუნოსხეულები და სხვა ბევრი სასარგებლო ნივთიერება, რომლის შემცვლელებსაც, რაც უნდა ბევრი ეცადონ კომპანიებმა, ვერ შექმნიან.

***— იმ დედებს, რომლებსაც არ აქვთ რძე და იძულებულნი არიან ხელოვნური საკვები მისცენ ბავშვებს, რა უჯდებათ თვის განმავლობაში შვილის გამოკვება?***

— საკმაოდ ძვირია. ერთი კოლოფი საკვები ღირს 10-12 ლარი, რომელიც მხოლოდ 3-4 დღე ყოფნის ბავშვს. ეს უკვე ძალიან ძვირი ჯდება.

***— რა ფაქტორები ახდენს გავლენას დედის რძის დაშრობაზე?***

— ფსიქოემოციური ფაქტორებია და მიზეზთა შორის არის კიდევ არასრულფასოვანი კვება. დედამ უნდა მიიღოს საკმაოდ ღირებული საკვები, რომ ჰქონდეს კალორაჟი, მაგრამ არ აქვთ ხოლმე სათანადოდ სრულფასოვანი კვება და სჭირდებათ ხელოვნური საკვები. ძალიან დიდი პროცენტი ბავშვებისა შერეულ კვებაზეა — ძუძუსაც აძლევენ და შემატებულ კვებასაც.

***— რას ურჩევთ მეძუძურ დედებს, როგორ უნდა იკვებონ, რომ კიდეც შეინარჩუნონ რძე და სრულფასოვანიც იყოს ბუნებრივი კვება?***

— აუცილებლად უნდა მიიღოს დედამ მოხარშული საქონლის და ქათმის ხორცი, ხილი, ბოსტნეული, ხაჭო და რძის პროდუქტები. სამომხმარებლო კალათა უნდა იყოს სრულფასოვანი. ეს საკმაოდ ძვირი ჯდება.

***— როგორ ფიქრობთ, რამდენად სრულფასოვნად იკვებებიან წლამდე ასაკის თქვენი პაციენტები, ახერხებენ ოჯახები პედიატრების მითითებების შესრულებას კვებასთან დაკავშირებით?***

— მეტი წილი, ალბათ, სრულფასოვნად გამოკვებას ვერ ახერხებს, თუმცა კი ცდილობენ. არიან დაბალანაზღაურებადი ოჯახები, რომლებიც ამას ვერ ახერხებენ. სიღარიბის ზღვარს მიღმა რომლებიც იმყოფებიან, ისინიც ამას ვერ ახერხებენ.

***— სრულფასოვანი საკვების მიღება ნებისმიერ ასაკში მნიშვნელოვანია, მაგრამ რამდენად მნიშვნელოვანია წლამდე ასაკში ამ პირობის შესრულება?***

— რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს. იმუნურ სისტემას აქედანვე ეყრება საფუძველი. ცილებით მდიდარი უნდა იყოს საკვები, რომ მოხდეს ორგანიზმის შენება. წლამდე, ორ წლამდე ასაკში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სრულფასოვან კვებას, ვინაიდან ძირითადად ჯანმრთელობას ამ ასაკში ეყრება საფუძველი. შემდეგ კეთდება ზედნაშენი, რომ ორგანიზმი იყოს ჯანმრთელი და იმუნური სისტემა — წესრიგში, ყველაზე კრიტიკული პერიოდი ბავშვის ცხოვრებაში სწორედ 1-2 წლის ასაკია.

***— ქალბატონო მადონა, რა ასაკამდე შეიძლება იყოს ბავშვი დამოკიდებული ხელოვნურ საკვებზე, იმ შემთხვევას ვგულისხმობ, როცა დედის რძე კვების რაციონში აღარ არსებობს?***

— არის ნარევები, რომელიც გათვალისწინებულია სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. ბოლო დროს რეკომენდაციებს გვაძლევენ, 3 წლის ასაკამდე იყვნენ ამ ნარევებზე ბავშვები და არა ძროხის რძეზე, რადგან ძროხის რძე იწვევს ალერგიულ დაავადებებს და ტვირთავს თირკმელს.

***— კი მაგრამ, თაობები ძროხის რძით, ნატურალური პროდუქტით იკვებებოდნენ და ახლა ისეთი რა შეიცვალა? რამდენად ითვალისწინებენ მშობლები ამ რჩევას?***

— გარკვეული პროცენტი ითვალისწინებს და მისდევს ჩვენს რეკომენდაციებს, მაგრამ დიდი ნაწილი ერთი წლის შემდეგ ბავშვს ძროხის რძეს აძლევს. ზოგს მოეწოდება სოფლიდან, ზოგს ახლომდებარე სოფლებთან აქვთ კავშირი და ბავშვებს ძროხის რძეს აძლევენ, რასთანაც დაკავშირებულია ალერგიული ფონის მომატება.

***— მაინც რა ასაკიდან არის შესაძლებელი ბავშვისათვის მხოლოდ იმ მენიუს შეთავაზება, რისი მომზადების შესაძლებლობაც ოჯახში არსებობს, ანუ ბავშვის რა ასაკიდან შეიძლება ხელმოკლე ოჯახი ფონს გავიდეს ხელოვნური საკვების შეძენის გარეშე?***

— ორი წლიდან შეიძლება ბავშვი გადავიყვანოთ საერთო მაგიდაზე. ამ ასაკამდე მაინც სპეციფიკური, განსაკუთრებული კვება სჭირდება ბავშვს, რასაც შესაბამისი ბიუჯეტი სჭირდება და რასაც ზოგჯერ ვერ ახერხებენ მშობლები.

# ნანა ჯანელიძე ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელია

ეკა ირემაშვილი

რეჟისორი ნანა ჯანელიძე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელია. ის ამ თანამდებობაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ოფიციალურად წარადგინა.

ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა: „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატურის შესარჩევად. კონკურსში მონაწილეობის მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: უმაღლესი განათლება; არანაკლებ 3 წლის მმართველობითი მუშაობის გამოცდილება; მენეჯმენტის საფუძვლების ფლობა; კინოხელოვნების სპეციფიკის ცოდნა; საერთაშორისო კინოინსტიტუციების, კინოორგანიზაციებისა და კინოფონდების საქმიანობის ორგანიზაციის ცოდნა; ინგლისური ენის ცოდნა; ორგანიზატორული უნარ-ჩვევები; გუნდური მუშაობის გამოცდილება, ადამიანური რესურსების მართვა და კომუნიკაბელურობა; ძირითადი საკანონმდებლო ბაზის ფლობა (საქართველოს კონსტიტუცია; „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"; სამოქალაქო კოდექსიდან: სანივთო /ქონებრივი/ სამართლის მარეგულირებელი ნორმები; საქართველოს კანონები: „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ"; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ"; „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ"; „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"; „შრომის კოდექსი"; კინოცენტრის დებულება; კინოცენტრის საკონკურსო დებულება; კინოცენტრის საექსპერტო კომისიის დებულება".

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში დოკუმენტაციის წარდგენა 15 მარტამდე შეეძლოთ. სხვადასხვა დოკუმენტაციის გარდა, კანდიდატს უნდა გააჩნდეს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის განვითარების სამწლიანი პროგრამა – კინოცენტრის საქმიანობისა და მართვის გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ქმედებებისა და მიმართულებების დასაბუთებული ხედვა არაუმეტეს 5 გვერდისა. კონკურსი გაიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე კანდიდატურები შეირჩნენ მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. მათგან ის კონკურსანტები, რომლებიც არ იქნნენ მოწვეულები მეორე ტურზე, ავტომატურად გამოეთიშნენ კონკურსს. მეორე ეტაპზე პირველი ეტაპიდან შერჩეულ კანდიდატურებთან ჩატარდა გასაუბრება ზემოთ აღნიშნული უნარების გამოსავლენად. გასაუბრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 20 მარტს გაიმართა".

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 25 თებერვალს გამოაცხადა კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატურის შესარჩევად. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ საბუთების წარმოდგენის ვადა ამოიწურა და კულტურის სამინისტრომ უკვე წარმოადგინა იმ პირთა ნუსხა, რომლებმაც შეიტანეს განაცხადები. ესენი არიან თეა გაბიძაშვილი, დინარა მაღლაკელიძე, პაატა ციკოლია, ნანა ჯანელიძე, გაგა ჩხეიძე, ნათია მეფარიშვილი, ნიკოლოზ მახარაძე, გელა ენდრიუ სული, ნიკოლოზ მახარაშვილი, ნინო კუნცევა-გაბაშვილი, გენო ცაავა, გენრი კაველიშვილი, მედეა ფიფია, დავით ჟღენტი და ნინო ედიბერიძე. კანდიდატებთან გასაუბრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 20 მარტს შედგა.

25 თებერვლამდე ეროვნულ კინოცენტრს თამარ ტატიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს მას თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოეწურა. იგი ეროვნული კინოცენტრის დირექტორად 2010 წლის 25 თებერვალს დაინიშნა. ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ახლანდელმა მინისტრმა უახლოეს მომავალში უნდა დანიშნოს ეროვნული კინოცენტრის ახალი დირექტორი, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოვლინდება და უწყებას 3 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. 25 თებერვალს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ეროვნული კინოცენტრის დირექტორის სამწლიანი საქმიანობა შეჯამდა და ახალი დირექტორის დანიშვნის წესი გახდა ცნობილი, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოვლინდა.

მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა საკონსულტაციო საბჭომ (სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატურის შესარჩევად მინისტრის საკონსულტაციო საბჭო) განიხილა თხუთმეტივე განაცხადი და ხუთი საუკეთესო კონცეფცია მინისტრს გადასცა განსახილველად. საკონსულტაციო საბჭოს წევრები არიან: ელდარ შენგელაია, მერაბ კოკოჩაშვილი, ოთარ ლითანიშვილი, ლევან თუთბერიძე, მარინა კერესელიძე, ნინო ანჯაფარიძე, დავით



ჯანელიძე, გივი (ბესო) ოდიშარია, ზაზა რუსაძე, კოტე ჩლაიძე, ზურაბ მაღალაშვილი, თინა ყაჯრიშვილი და არჩილ შუბაშვილი.

– მთლიანობაში ამ თანამდებობაზე მუშაობის სურვილი 15-მა მსურველმა გამოთქვა. კინოცენტრის ხელმძღვანელობის კანდიდატებს უნდა წარმოედგინათ თავისი ხედვა, თუ როგორ ფიქრობდნენ ისინი ამ სფეროს განვითარებას მომავალში. რა ნაბიჯებია გადასადგმელი შემდეგი სამი წლის განმავლობაში, ჩვენ ყურადღებით გავეცანით ყველას ხედვას, მერე გავესაუბრეთ კანდიდატებს და ერთხმად მივეცით რეკომენდაცია ნანა ჯანელიძეს, – განმარტა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, რეჟისორმა ზაზა რუსაძემ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ახალი დირექტორის შერჩევისას მინისტრმა სწორედ ამ საბჭოს რეკომენდაციებით იხელმძღვანელა.

– ქალბატონმა ნანა ჯანელიძემ მიიღო აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოს ხმებისა და დღეიდან ის ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელია. ბრძანებაზე ხელი უკვე მოწერილია და ნანაც სამუშაოს შეუდგება. ის წარმატებული და შესანიშნავი ხელოვანია და, იმედი მაქვს, ის ასეთივე წარმატებული ხელმძღვანელი იქნება ეროვნული ცენტრის, რომელსაც ახალი დირექტორის ახალი ხედვები და შემართება ნამდვილად სჭირდება.

რეჟისორი ნანა ჯანელიძე თბილისელია. მან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი, თენგიზ აბულაძის სახელოსნო დაამთავრა და მუშაობა დაიწყო კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რეჟისორად. არის საქართველოს სახელმწიფო და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური პრემიების ლაურეატი ფილმისათვის „იავნანა". რუსეთის კინოაკადემიის პრემია „ნიკეს" ორგზის მფლობელი, პირველი ჯილდო მოიპოვა ნომინაციაში „სცენარი" ფილმისათვის „მონანიება" და 2011 წელს საუკეთესო უცხოური ფილმისათვის „ნეტავი იქ თეატრი არის?!". ნანა ჯანელიძე საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზების მფლობელია – პეზეროს (იტალია), ლაგოვოს (პოლონეთი), მოსკოვის, იალტის (რუსეთი), მონპელიე (ვისბადენი).

გასული წლიდან დღემდე მიჰყავს საავტორო გადაცემა ფოლკ რადიოში. შარშან იყო ბანკ თიბისის მიერ განხორციელებული სადებიუტო ფილმების „თიბისი20/12" მხატვრული ხელმძღვანელი ნანა ჯორჯაძესთან ერთად. საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიჰყავდა საავტორო გადაცემა ლატერნა მაგიკა". ნანა ჯანელიძეს ეროვნულ კინოცენტრში პირველად არ მოუწევს მუშაობა. იგი ეროვნული კინოცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ მოღვაწეობდა. რეჟისორმა მსახიობ ნანუკა ხუსკივაძესთან ერთად დააფუძნა შ.პ.ს. №&№ სტუდია და დღემდე მისი ხელმძღვანელია.

დადგმული აქვს სპექტაკლები ვაკის სარდაფსა და რუსთაველის თეატრში. ირაკლი ტრიპოლსკისთან და თემურ ჭკუასელთან ერთად დააფუძნა აიიპ „სტუდია სტუქო". გამოცემული აქვს წიგნები „თენგიზ აბულაძე – ანარეკლი", „რეზო ჩხეიძე – კინოს დიდ გზაზე". ავტორთა ჯგუფთან ერთად რესტავრაცია გაუკეთა და მულტიმედიურ ალბომად გამოსცა პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი „დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წ".

ეროვნული კინოცენტრის ახალ ხელმძღვანელის ფილმოგრაფია ასე გამოიყურება: დამდგმელი რეჟისორია ფილმებისა: „ნეტავ იქ თეატრი არის?!" (დოკუმენტური), „გალობის რაინდები" (დოკუმენტური), „საშობაო საჩუქარი", „მშრალი ხიდის სიზმრები", „თენგიზ აბულაძე" (დოკუმენტური), „ერთი წვეთი საქართველო", „იავნანა", „ოჯახი". სცენარის ავტორია ფილმებისა: „ნეტავ იქ თეატრი არის?!", „საშობაო საჩუქარი", „მშრალი ხიდის სიზმრები", „თენგიზ აბულაძე", „იავნანა", „მონანიება" და „ოჯახი". პროდიუსერია ფილმებისა: „ნეტავ იქ თეატრი არის?!" და „მშრალი ხიდის სიზმრები".

ამ კონკურსში მონაწილე კანდიდატებს არაფერი გაუპროტესტებიათ, გარდა რეჟისორ გენო ცაავასი, რომელმაც სპეციალური განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიწერა:

„კულტურის მინისტრი და ელდარ შენგელაია არასწორ განცხადებებს ახმოვანებენ, რადგან, მინისტრის გადაწყვეტილებით, მანანა ბერიკაშვილთან, ელდარ შენგელაიასთან და ჩვენთან ერთად შედგა შეთანხმება. შეთანხმებით, კულტურის მინისტრს დროებითი საბჭო რეკომენდაციას არ წარუდგენდა და მხოლოდ კინოკავშირიდან წარმოდგენილ რეკომენდაციას განიხილავდა და დაამტკიცებდა!!! შეთანხმებიდან გამომდინარე, კინოკავშირში მიღწეულია, რომ ოთხშაბათს შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც უმოკლეს ვადაში, მაქსიმუმ ხუთ დღეში საჯაროდ და გამჭვირვალედ უნდა განახორციელოს თხუთმეტივე საკონკურსო პროექტის განხილვა და მხოლოდ ამის შემდგომ კულტურის მინისტრს კინოკავშირიდან წარედგინება კინოცენტრის დირექტორის რეკომენდაცია. დღეს გარკვეული პერსონალიები სხვადასხვა მანიპულაციით ამ შეთანხმების იგნორირებას ცდილობენ, რაც საჯაროობასა და გამჭვირვალობას კატეგორიულად გამორიცხავს!!! ვიმედოვნე,ბ თქვენი შეწევნით, სამართლიანობისთვის გარკვეულ პერსონა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## SMS-განცხადებები – 3090

● ცენტრალური გათბობა უმოკლეს დროში (2-3 დღე)! საუკეთესო ფირმების („ბოშისა" და „არისტონის") ქვაბებით, საუკეთესო მასალით, გარანტიითა და ოპტიმალური ფასებით – მაღაზიისა და ბაზრის პრეისკურანტებით. ტელ: 595-67-82-62, 267-82-62 – ემზარ ამნიაშვილი.

● იყიდება მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. ახალაშენებული 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის ჟალუზებით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 22 კმ-ში. ბოლო ფასი 25.000 დოლარი. ტელ.: 577-47-85-55, 599-72-27-48. გიორგი.

## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# რაფაელ ვარანი: „საქართველოსთან დებიუტმა საოცარი ემოცია გამოიწვია“



გუშინ, გვიან ღამით, დასრულდებოდა საფრანგეთისა და ესპანეთის ნაკრებების მნიშვნელოვანი ჯახი. ალბათ, შეხსენება არ გჭირდებათ, რომ ეს გუნდები საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ცხადია, ამ მატჩის შესახებ საუბარი აუცილებლად მოგვიწევს, ახლა კი ფრანგთა მცველის, რაფაელ ვარანის (მას ეროვნულ გუნდში დებიუტი სწორედ საქართველოს ნაკრებთან ჰქონდა პარასკევს გამართულ მატჩში) ინტერვიუ გვინდა შემოგთავაზოთ, რომელიც მადრიდის „რეალის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

სანამ ვარანის ინტერვიუს დავიწყებდეთ, მანამდე „მამლების“ მწვრთნელის, დიდიე დეშამის სიტყვები:

– საფრანგეთს საკმაოდ ბევრი კარგი ცენტრალური მცველი ჰყოლია – ბლანი, ტურამი, დესაი და სხვა, მაგრამ ვარანი სრულიად განსხვავებულია. მე ვერ ვიხსენებ მსგავსი ასაკის ასეთი დონის ფეხბურთელს, რადგან იგი მხოლოდ 19 წლისაა. ეს ძალიან განსხვავებული შემთხვევა. რაფაელი ჩვეულებრივ იღებს კრიტიკას. ამიტომ იგი თამაშობს მადრიდის „რეალში“ და საფრანგეთის ნაკრებში. როგორც მცველი, იგი ძალიან ჭკვიანია, – განაცხადა დეშამმა.

ახლა კი ვარანის ინტერვიუ:

***– რა განცდა დაგეუფლათ საფრანგეთის ეროვნულ გუნდში სადებიუტო მატჩის ჩატარებისას?***

– ჩემი დიდი ხნის ოცნება ახდა – საფრანგეთის ნაკრებში პირველი შეხვედრა ვითამაშე! ამან საოცარი კმაყოფილება და ემოცია გამოიწვია. საფრანგეთის ნაკრებში დებიუტი განსაკუთრებული იყო. მე ვთრთოდი, როდესაც ვიმღერე ჰიმნი. რა თქმა უნდა, მე ვთამაშობ „რეალში“ და ვარ დიდი ზეწოლის ქვეშ, მაგრამ თამაშობდე ეროვნულ ნაკრებში, ეს რაღაც განსხვავებულია.

***– იმაზე მეტად ნერვიულობდით, ვიდრე „ელ კლასიკოში“ „ბარსელონას“ წინააღმდეგ თამაშისას?***

– საკლუბო და სანაკრებო მატჩების ერთ რიგში დაყენება კარგი შედარება არ არის. „რეალის“ შემადგენლობაში მეტად მნიშვნელოვანი და დაძაბული თამაშების ჩატარება მომიხდა, მაგრამ სანაკრებო ბრძოლებთან მათი შედარება მაინც არასწორია. საფრანგეთის ნაკრებში თამაში სხვაგვარ ემოციას იწვევს – მშობლიური ქვეყნის ეროვნული გუნდის დაცვა განსაკუთრებული მოვლენაა.

***– მატჩის დასრულების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, რა გამოგივიდათ და რა ვერ შეძელით საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშისას?***

– ვფიქრობ, კარგად ვურთიერთქმედებდი საჰოსთან, მაგრამ საკმაო დრო დამჭირდება, რათა ჩვენი მოქმედებები უფრო სინქრონული და შეთანხმებული გამოვიდეს. დარწმუნებული ვარ, კარგად შევთამაშდებით და ამის შემდეგ ისეთ გოლს არ გავუშვებთ, რომელიც საქართველომ გაგვიტანა.

***– ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მინდორზე გამოცდილი და ბოლომდე ჩამოყალიბებული ფეხბურთელის შთაბეჭდილებას ტოვებთ.***

– მხოლოდ ფეხბურთზე ვარ ორიენტირებული, სხვაზე არ ვფიქრობ და ყოველმხრივ ვცდილობ, ბოლომდე დავიხარჯო და საუკეთესო თვისებები ბოლომდე გამოვავლინო. ისეთ პოზიციაზე მიწევს თამაში, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ასეთ ნდობას მიცხადებენ. საბედნიეროდ, „რეალის“ შემდეგ ასე მოხდა ნაკრებშიც.

***– 3 წლის წინ პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმეთ „ლანსთან“. დროის ამ მოკლე მონაკვეთში თქვენი საფეხბურთო ცხოვრება დიდად შეიცვალა.***

– მართლაც ასეა. თუმცა, წარმატება თავისთავად არ მოდის. ბევრს ვშრომობ და ყოველდღიურად წინ მივიწევ. ძალიან ბევრი რამ ავითვისე „რეალში“ და ამიერიდან სანაკრებო დონეზე თამაშიც დიდ დახმარებას გამიწევს. საკუთარი პროგრესით კმაყოფილი ვარ და ასეთივე ტემპით ვაპირებ წინსვლას.

***– საფრანგეთის ნაკრებს მომდევნო საკვალიფიკაციო მატჩი ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ უწევს. რა განწყობით ელით მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონთან შეხვედრას?***

– ერთხელ თუ მოირგებ ნაკრების მაისურს, შემდეგ მისი გახდა აღარ მოგინდება. „ფურია როხას“ წინააღმდეგ თამაში განსაკუთრებული მოვლენაა ნებისმიერი ფეხბურთელის კარიერაში და არც ჩემთვის იქნება გამონაკლისი.

***– ამბობენ, რომ ბოლო დროს ესპანეთის ნაკრები შედარებით ნაკლები ჟინით თამაშობს. ეთანხმებით ამ თვალსაზრისს?***

– გამორიცხულია. გუნდმა ევროპის ბოლო 2 ჩემპიონატი და სამხრეთ აფრიკის მუნდიალი მოიგო. ამას უდიდესი მონდომების გარეშე ვერ შეძლებ. მას შემდეგაც არაფერი შეცვლილა. პირადად ვიცნობ ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებს და კარგად ვიცი, რაოდენ მოტივირებულები არიან ისინი სანაკრებო დონეზე თამაშისას.

***– პარასკევის შეხვედრების შემდეგ „რეალის“ ფეხბურთელებს ესაუბრეთ?***

– არა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მალე სერხიო რამოსთან საუბარი მექნება და ერთმანეთს „მუქარით“ ავავსებთ.

***– რა სხვაობაა ჟოზე მოურინიოსა და დიდიე დეშამს შორის?***

– ჯერჯერობით დეშამს კარგად არ ვიცნობ, ამიტომაც მის სამწვრთნელო პრინციპებზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ სეუ ჟოზე და მუსიე დიდიე განსხვავებული ხასიათისა და ტემპერამენტის ადამიანები არიან.

***– მართალია, რომ მოურინიომ გთხოვათ ინტერვიუების მიცემისგან თავი შეიკავოთ?***

– დიახ, ასეა. სეუ ჟოზეს სურს, რაც შეიძლება ნაკლებ ზეწოლას განვიცდიდე მასმედიისგან. მე ხომ 19 წლის ვარ და მწვრთნელი მიფრთხილდება. მოურინიო მენდობა და, ამავდროულად, ჩემგან ბევრსაც ითხოვს. სხვაგვარად წარმოუდგენელია, ესოდენ მოკლე ხანში ამდენისთვის მიმეღწია.

***– ქარიმ ბენზემა ნაკრებში შედეგიანობით ვერ გამოირჩევა. მასზე ეს დამთრგუნველად ხომ არ მოქმედებს?***

– ქარიმი ანალოგიურ სიტუაციაში არ იბნევა და რთული პერიოდის დაძლევა შეუძლია. მთავარია, პარტნიორებს მისი გვწამს და მალე ბენზემა გოლების გატანას განაახლებს.

# ბორჯღალოსნებმა ოფიციალური სეზონი უკვე დაასრულეს

2013 წელი ახლახან დაიწყო, მაგრამ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა უკვე მოახერხა ერთა თასის აღება და ახლა სეზონში მხოლოდ ტესტ-მატჩები დარჩა ჩასატარებელი.

„ბორჯღალოსნებმა“ თებერვალსა და მარტში გამართული ერთა თასის ტურნირის მოგებით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ დამსახურებულად ითვლებიან ამ გათამაშების საუკეთესო გუნდად. თუმცა, ვერც იმას დავმალავთ, რომ ამჯერად ჩვენების უპირატესობა ისეთი არ იყო, როგორც ამას მიჩვეული ვიყავით და ყველაფერი მხოლოდ ბოლო ტურში და ისიც რუმინეთთან ნათამაშები ფრის შედეგად გახდა ცნობილი. ამის მიზეზი კი ის არის, რომ საქართველოს ნაკრები ახალი მწვრთნელის, მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობით ახალ რელსებზე გადადის – გუნდი ხელით თამაშს სწავლობს და ამის მიზეზია, რომ ხარვეზები ბლომად მოჰყვება. თუმცა, ამ კუთხით პროგრესი იგრძნობა. სამაგიეროდ, კარგად დგას დაცვაში და ლელოებს ნაკლებად უშვებს, მაგრამ, არის შემთხვევები, როდესაც დისციპლინა მოიკოჭლებს და მეტოქეს შეუძლია, ჯარიმების ხარჯზე აგროვოს ქულები.

გარდა იმისა, რომ ჩვენები ერთა თასს დაეუფლნენ, „ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასიც“ შეინარჩუნეს, რომელიც მარტო ჩვენებსა და რუმინელებს შორის თამაშდება. ეს ერთა თასი მომავალი მსოფლიოს თასის შესარჩევიც არის და, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაისად უკვე 3 მატჩს შინ ვითამაშებთ და ამასთან – უშუალო კონკურენტებთან, უდიდეს სარაგბო ფორუმზე წასვლა არც ამჯერად უნდა გაგვიჭირდეს.

ჩვენებმა სეზონი მძიმედ დაიწყეს – პირველი მატჩი გათამაშების დებიუტანტ ბელგიის ნაკრებთან გამართეს. მართალია, მატჩი ჩვენი გამარჯვებით – 17:13 დასრულდა, მაგრამ მოლოდინი აშკარად მეტი იყო. მასპინძლებმა ქართველებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ბონუს-ქულა არათუ გამოატანეს, არამედ თავად აიღეს.

მე-2 რაუნდში კი პირველი საშინაო მატჩი გავმართეთ პორტუგალიასთან. წინა მატჩისაგან განსხვავებით, „ბორჯღალოსნები“ პორტუგალიელებთან უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა ეს არ ითქმის მთლიან თამაშზე. ეს იყო რაღაც მომენტებში აფეთქება, როდესაც ქართველები მეტოქეს ერთი თავით სჯობდნენ, ზოგადად კი მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაში მიდიოდა. სწორედ იმ აფეთქებების დროს გადაწყდა მატჩის ბედი და საბოლოოდ 25:12 გავიმარჯვეთ. ვერც ამჯერად შევძელით ბონუს ქულის აღება, მაგრამ ასევე უბონუსოდ მოიგო ჩვენმა კონკურენტმა რუმინეთმაც, რომელმაც რუსეთი დაამარცხა და შედეგად გათამაშების ცხრილს 8 ქულით ჩვენთან ერთად ჩაუდგნენ სათავეში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამხელა მოტივაციაა ჩვენი ბიჭებისთვის რუსების წინააღმდეგ თამაში. შესაძლოა, „ბორჯღალოსნებს“ თამაში იმიტომაც გაუმარტივდათ, რომ მოწინააღმდეგე ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა და შანსს შანსზე ანიავებდა. უამრავი მცდელობიდან „დათვებმა“ მხოლოდ 3 ჯარიმა გამოიყენეს და მატჩში ოდენ 9 ქულას დასჯერდნენ. ქართველებიც წყნარად და მშვიდად მიუყვებოდნენ მატჩის მიმდინარეობას. თუმცა, რა იქნებოდა მაშინ, თუ მომატება იქნებოდა საჭირო? იყო ბევრი წუნი, იყო ბევრი შეცდომა. საბოლოო ჯამში, კვლავ ბონუსის გარეშე, 23:9 მოვიგეთ. ცხრილში ქართველები და რუმინელები კვლავ თანაბრად 12-12 ქულით ლიდერობდნენ.

შემდეგი მატჩში ქართველების მოწინააღმდეგე ესპანეთის ეროვნული გუნდი იყო. „ბორჯღალოსნებმა“ მათ „მიხეილ მესხზე“ უმასპინძლეს. დაანონსდა, რომ ეს იქნებოდა ჩვენი კაპიტნის, ირაკლი აბუსერიძის გამოსათხოვარი მატჩი. გუნდმაც ყველაფერი გააკეთა, რომ „აბუ“ ღირსეულად გაეცილებინათ. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს იყო წლევანდელი ერთა თასის პირველი მატჩი, როცა გუნდის თამაშით მაყურებელი კმაყოფილი დარჩა. ეს კმაყოფილება არ იყო გამოწვეული მხოლოდ ანგარიშიდან. აქ შეინიშნებოდა კომბინაციური თამაში, აქ იყო სწრაფი კონტრშეტევები, უკანა ხაზის სწრაფი და მობილური თამაში...

სწორედ ამან მოიტანა ის 8 ლელო, რომლითაც „ბორჯღალოსნებმა“ სტადიონზე მოსული ქომაგი გაახარეს. საბოლოოდ ქართველებმა 61:18 გაიმარჯვეს. ეს კი ნიშნავდა ბონუს ქულას, გაჩნდა იმის იმედი, რომ ქართველები შეიძლება ერთპიროვნულად გალიდერებულიყვნენ. მაგრამ გვიან გამართულ მატჩში რუმინელებმა მიიღეს სათავისო ბონუსი და ქულითაც არ ჩამოგვრჩნენ.

2013 წლის ერთა თასის გათამაშებამ კულმინაციას სწორედ ბუქარესტში მიაღწია. ერთმანეთის წინააღმდეგ ორი ლიდერი გუნდი დგას. ისინი დამსახურებულად ლიდერობენ ცხრილს. ეს გუნდები წლებია მეტოქეობენ ერთმანეთს.

მატჩი მართლაც მძიმე გამოდგა.



მეტოქე ძალიან მონდომებული აღმოჩნდა. რიგ მომენტებში აშკარად დაგვჩაგრეს. განსაკუთრებით, ჩვენს ნაკებ შერკინების ხაზს გაუჭირდა. თუმცა მაინც მედგრად ვიდექით. ქართველები არ ცდილობენ ინიციატივის ხელში აღებას, წყნარად თამაშობენ და მეტოქის შეცდომას ელოდებიან. რამდენიმეჯერ შეგვეძლო გამწვავება, გვქონდა შანსი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მსაჯის საფინალო სასტვენმა საჩვენო ფრე დააფიქსირა – 9:9. ჩვენ მეტოქეზე მეტი ლელო გვქონდა გატანილი ერთა თასზე და სხვაობაც უკეთესი აღმოგვაჩნდა.

შედეგად გათამაშება მეექვსედ მოიგეს. 2014 წლამდე ჩვენ ერთა თასის გამარჯვებულის ტიტული ჩვენია. წლევანდელი გამოსვლა და ის პროცესები, რაც ქართულ რაგბიში მიმდინარეობს, უკეთესი მომავლის იმედს იძლევა.

ზემოთ ვახსენეთ, რომ რუმინელებს მეტი გატანილი ლელოს წყალობით ვაჯობეთ და ამიტომ უპრიანი იქნება, თუ ჩვენების სტატისტიკურ მონაცემებსაც შემოგთავაზებთ.

ქართველებმა მოწინააღმდეგეები 15-ჯერ დაალელოვეს, ეს საშუალოდ მატჩში 3 ლელო გამოდის. საწინააღმდეგოდ 3 ლელო მივიღეთ. აქედან 2 ესპანეთთან, როდესაც გუნდი უკვე მაყურებელზე თამაშობდა და ერთხელ ბელგიასთან. მატჩში ყველაზე მეტი 8 ლელო ესპანეთის წინააღმდეგ დავდეთ. ინდივიდუალური მაჩვენებლებით გამოკვეთილი ლელოს დამდები არ გვყავს: დალელოვება ორჯერ შეძლეს: ბასილაიამ, ხმალაძემ, მჭედლიძემ, ზიბზიბაძემ და გორგოძემ. თითოჯერ კი შარიქაძემ, მაჩხანელმა, კაკოვინმა, კოლელიშვილმა და ჩილაჩავამ.

15 გარდასახვიდან 12 ზუსტი იყო. აქედან 10-ჯერ „მეკომ“ დაარტყა ზუსტად, ხოლო ორჯერ – ცვლილებაზე შესულმა წიკლაურმა. გარდასახვების მსგავსად, 12 ზუსტი ჯარიმა ვიხილეთ ქართველთა შესრულებით, თორმეტივე კვირიკაშვილის ანგარიშზეა. ჩვენ წინააღმდეგ კი სულ 14 ჯარიმის გატანა მოახერხეს. ყველაზე მეტჯერ ჯარიმიდან პორტუგალიელმა ლეალმა გაგვიტანა (4).

ასევე მნიშვნელოვანია იმაზე საუბარიც, რომ ამა წლის იანვარში რაგბის საერთაშორისო კავშირმა (ირბ) საქართველოს რაგბის კავშირი განვითარებული რაგბის კავშირების სიაში შეიყვანა. შედეგად, სხვა ბევრ დადებით სიახლესთან ერთად, გაიზარდა ირბ-ს მიერ გრანტის რაოდენობაც: 300.000 გირვანქა სტერლინგის ნაცვლად 450.000 გახდა. გარდა ამისა, დაიგეგმა ივნისში თბილისში ჩასატარებელი საერთაშორისო ტურნირი – „თბილისის თასი“, რომელიც მომავალში ტრადიციულ გათამაშებად ჩამოყალიბდება და მასში მონაწილეობას საკმაოდ ძლიერი გუნდები მიიღებენ. ეს ტურნირი რუმინეთის ტურნირს ჩაანაცვლებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირბ-მ საქართველოს რაგბის კავშირი განვითარებული ქვეყნების რაგბის კავშირების სიაში შეიყვანა. აღნიშნულ სტატუსს აქამდე მხოლოდ 16 ქვეყანა ატარებდა, საქართველო კი მეჩვიდმეტე წევრად მიიღეს.

როგორც საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა, ბატონმა გია ნიჟარაძემ აღნიშნა, ამ თანხით ჩამოყვანილ იქნა ფიზმომზადების ინგლისელი მწვრთნელი. მან ისაუბრა ქართველ მსაჯთა განვითარების პროგრამაზეც, რომელიც აღნიშნული გრანტიდან უნდა დაფინანსდეს. ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოს შიდა ჩემპიონატის მატჩებზე უცხოელი მსაჯები ჩამოვლენ. თებერვლიდან უკვე მსაჯობს ახალი ზელანდიელი მსაჯი.

მისივე თქმით, ირბ-მ ბაზების კეთილმოწყობისათვის უკვე გამოყო 250.000 გირვანქა სტერლინგი. საქართველოს რაგბის კავშირი კი ამ თანხით პირველ რიგში მარტყოფის სარაგბო ბაზის განვითარებას აპირებს.

რაც შეეხება თბილისის ტურნირს: ივნისში ვუმასპინძლებთ საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას და ტრადიციად ჩამოყალიბდება. რაც შეეხება მონაწილეებს, უკვე გვეწვევა ერთ-ერთი ბობოლა სარაგბო ნაკრები. ეს ირლანდია იქნება. მას მოჰყვება იტალიის ა ნაკრები, ხოლო კიდევ ერთი სტუმარი ესპანეთი, პორტუგალია ან ურუგვაი იქნება. მომავალ წელს ორ უცხოურ გუნდს ჩაანაცვლებს არგენტინისა და სამხრეთ აფრიკის ა ნაკრებები.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კანადა-ბელარუსი | 0:2 |
| ბრაზილია-რუსეთი | 1:1 |

**ეჩ-2015. შესარჩევი ეტაპი(21)**

| | |
|---|---|
| ბელგია-კვიპროსი | 2:0 |
| შოტლანდია-ლუქსემბურგი | 3:0 |

**ამხანაგური მატჩები(21)**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ჩერნოგორია | 0:0 |
| სლოვაკეთი-სლოვენია | 1:2 |
| იტალია-უკრაინა | 1:0 |
| ჰოლანდია-ნორვეგია | 4:1 |
| ირლანდია-პორტუგალია | 1:2 |
| ესპანეთი-რუსეთი | 3:1 |
| ინგლისი-ავსტრია | 4:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-მემფისი | 107:94 |
| ინდიანა-ატლანტა | 100:94 |
| ორლანდო-მაიამი | 94:108 |
| ნიუ ორლეანი-დენვერი | 110:86 |
| იუტა-ფილადელფია | 107:91 |
| გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 109:103 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. მაიამი**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-ფალა | 2:6;7:6;6:4 |
| ცონგა-ნიემინენი | 6:3;6:3 |
| ჩილიჩი-ისნერი | 6:3;7:6 |

**ვტა. მაიამი**

| | |
|---|---|
| ვინჩი-კორნე | 2:6;6:4;6:4 |
| ერანი-ივანოვიჩი | 1:6;6:4;6:2 |
| იანკოვიჩი-კირსტეა | 6:0;6:4 |
| შარაპოვა-ზაკოპალოვა | 6:2;6:2 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-ტორონტო | 2:2(0:1ბ) |
| ოტავა-ნიუ ჯერსი | 2:2(1:0ბ) |
| ნეშვილი-ედმონტონი | 3:2 |
| ჩიკაგო-ლოს ანჯელესი | 4:5 |
| დალასი-მინესოტა | 4:7 |
| ანაჰაიმი-სან ხოსე | 3:5 |
| ფინიქსი-დეტროიტი | 2:3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ოთარ მეღვინეთუხუცესის ანაბეჭდი „უკვდავთა თაღშია“

ეკა ირემაშვილი

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით არაერთი კულტურული ღონისძიება იმართება, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვნების სასახლეში დაგეგმილი ღონისძიებაა, რომელიც ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავს ოთარ მეღვინეთუხუცესს ეძღვნება.

27 მარტს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დიდი მსახიობის ოთარ მეღვინეთუხუცესის ანაბეჭდის გახსნის საზეიმო ცერემონია გაიმართება.

ხელოვნების სასახლეში სულ ცოტა ხნის წინ „უკვდავთა თაღი“ ელდარ შენგელაიას ანაბეჭდით გაიხსნა. აღნიშნულ თაღში ეტაპობრივად იმ უკვდავ ხელოვანთა ანაბეჭდების გახსნა მოხდება, ვინც თავისი სახელი თავისი შემოქმედებით უკვდავყო და ქართველი ხალხის უპირობო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ოთარ მეღვინეთუხუცესის ანაბეჭდი მეორეა, რომელიც ხელოვნების სასახლის უკვდავთა თაღში საზეიმოდ გაიხსნება და იგი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში სამუდამოდ დაიდებს ბინას.



ოთარ მეღვინეთუხუცესს 80 წელი შარშან შეუსრულდა. ეს საიუბილეო თარიღი მსახიობს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა მიულოცა და ხორავას სახლში საიუბილეო ღონისძიება გამართა.

მიუხედავად ასაკისა, მსახიობი შესაშურ ფორმაშია. ის თავის თავზე აქტიურად მუშაობს და კვლავ ახერხებს თეატრში ახალი როლები შექმნას. გასულ წელს მსახიობმა მთავარი როლი შეასრულა დავით საყვარელიძის მიერ დადგმულ სპექტაკლში „წიგნი“, რომელიც აკა მორჩილაძის ნაწარმოების მიხედვით მარჯანიშვილის თეატრში განხორციელდა.

მომღერალმა ანრი ჯოხაძემ, რომელმაც სიმღერა დროებით გვერდზე გადადო და რეჟისორობა დაიწყო, მსახიობი ვერიკო ტურაშვილის ახალ კლიპში გადაიღო. ორიოდე კვირის წინ კი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მსახიობი თავის საყვარელ მეუღლესთან გურანდა გაბუნიასთან ერთად კვლავ წარდგა მაყურებლის წინაშე. რეჟისორმა ირაკლი გოგიამ ჯონ მარელის მიხედვით სპექტაკლი დადგა, რომელიც სარა ბერნარის შესახებ მოგვითხრობს.

ამჯერად ოთარ მეღვინეთუხუცესი ხელოვნების სასახლეშია მიწვეული, სადაც „უკვდავების თაღში“ მისი ანაბეჭდი საზეიმოდ გაიხსნება.

# ნანა ჯანელიძე ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლიებს არ მივცემთ საჯაროობისა და გამჭვირვალობის დასამარების საშუალებას“, – აცხადებს კინორეჟისორი, პროდიუსერი და მხატვარ-დიზაინერი გენო ცაავა.

გენო ცაავას პროტესტის მიუხედავად, ეროვნული კინოცენტრის ახალმა ხელმძღვანელმა ნანა ჯანელიძემ ჟურნალისტებისთვის პირველი პრესკონფერენცია გამართა და კინოცენტრის სამწლიანი პროგრამის პრეზენტაცია მოაწყო.

ეროვნულ კინოცენტრში მისულ ჟურნალისტებს ახალმა დირექტორმა მომავლის ხედვა წარმოუდგინა. ნანა ჯანელიძემ პირველი სამუშაო დილა დაუთმო კინოცენტრის სამწლიანი პროგრამის პრეზენტაციას მედიისთვის.

**ნანა ჯანელიძე, ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი:**

– აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა კინოს სფეროში. იმისთვის, რომ გაიზარდოს ხელისუფლების პასუხისმგებლობა ამ დარგის მიმართ, უნდა დაიგეგმოს სპეციალური ჩვენებები პარლამენტის დეპუტატთათვის, მინისტრთა კაბინეტისთვის. ყველა ინსტიტუციამ უნდა იგრძნოს, რომ კინოს მხარდაჭერა სახელმწიფო პოლიტიკაა.

***– რა არის თქვენი პრიორიტეტი?***

– ჩვენ აქცენტებს გავაკეთებთ პრიორიტეტებზე და დავსახავთ იმ მთავარ მიზნებს, რომელთა განხორციელებას კინოცენტრის გუნდთან ერთად უახლოეს მომავალში ვგეგმავთ. მთავარი ამოცანაა პირველ ეტაპზე საექსპერტო კომისიების შერჩევა და გამოცხადებული კონკურსების დასრულება. ჩვენს პროგრამაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისეთ თემებს, როგორებიცაა კინოს პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და საზღვრებს გარეთ, კინოგანათლებაზე ზრუნვა, მუნიციპალური კინოთეატრების განვითარება, ადგილობრივი დისტრიბუციის განვითარება, კინომემკვიდრეობის დაცვა, მნიშვნელოვანი, საერთაშორისო ორგანიზაციების მოწვევა საქართველოში, შეღავათიანი საგადასახადო რეგულირება, კინოს დაფინანსების ალტერნატიული ფორმები და ტელევიზიების მონაწილეობა კინოწარმოებაში.

***– რატომ გადაწყვიტეთ ამ კონკურსში მონაწილეობა?***

– ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ამ ნაბიჯის გადადგმა, თუმცა, იმდენად კარგად იყო აწყობილი ეროვნული კინოცენტრი, იმდენი დრო დასჭირდა ამის გაკეთებას, მივხვდი, დადგა კრიტიკული მომენტი, როცა შეიძლებოდა, ეს ყველაფერი დამსხვრეულიყო. ჩემი პირველი ამოცანაა, რომ კონკურსები, რომლებიც არის დაწყებული, დასრულდეს, დაინიშნოს ჟიური და სასწრაფოდ ჯგუფებმა დაიწყონ მუშაობა. მთავარია, უზარმაზარი შემოქმედებითი რესურსი, რომელიც გააჩნია ქართულ კინოს, ყველა სრულფასოვნად ჩავრთოთ ამ პროცესებში. რაც შეიძლება მეტი ფილმის გადაღება შეძლონ რეჟისორებმა, ისეთი სისტემა უნდა შევიმუშაოთ, რომ ყველა თაობის რეჟისორი დავასაქმოთ. საბედნიეროდ, დიდი პალიტრა გვაქვს რეჟისორების და მათ ისე უნდა იმუშაონ, როგორც ეს არის მიღებული ევროპაში.

***– ითანამშრომლებთ თუ არა თამარ ტატიშვილთან?***

– რა თქმა უნდა. თამარ ტატიშვილი იყო ერთ-ერთი წარმატებული ხელმძღვანელი. ის ჩვენი თანამშრომელია და, იმედს ვიტოვებ, აუცილებლად ვითანამშრომლებთ და ჩვენი ტანდემი კიდევ არაერთ წარმატებას მოგვიტანს.

***– რა არის თქვენი გზავნილი ამ ეტაპზე?***

– კინოს სფეროში სახელმწიფოს ჩართულობა აუცილებელია. კინოს პოპულარიზაცია საჭიროა როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე შიგნითაც. მთავარი გზავნილი ის არის, რომ რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი რეჟისორი ჩაერთოს თავის საყვარელ პროფესიაში. ამისთვის დიდი დაფინანსებაა საჭირო, ამიტომ ბიზნესმაც, კერძო სექტორმაც და სახელმწიფომაც უნდა დაგვიჭირონ მხარი, რომ ქართულ კინოში ახალი ტალღა შემოვიტანოთ.

# იოსებ კეჭაყმაძე გარდაიცვალა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რებისა. მათ შორისაა ჭეშმარიტი შედევრები, რომლებიც შევიდა ქართული მუსიკის საგანძურში.

იოსებ კეჭაყმაძემ მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა საგუნდო აზროვნებისა და საკომპოზიტორო ტექნიკის სფეროში. ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგარი კომპოზიტორი ოსტატურად და მახვილგონივრულად იყენებს თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების მიღწევებს, ამჟღავნებს გამომგონებლობასა და ფანტაზიას. მან საგრძნობლად გააფართოვა საგუნდო მუსიკის გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების წრე, გაამდიდრა იგი ახალი ფორმებითა და იდეებით. კომპოზიტორი ვირტუოზულად ფლობს საგუნდო ბგერწერისა და კონტრაპუნქტული აზროვნების საიდუმლოებებს.

იოსებ კეჭაყმაძე კონცეპტუალურად მოაზროვნე კომპოზიტორია. პოეტური და ამაღლებულია მის მიერ შექმნილი სამყარო, რომელშიც თანაარსებობს ლირიკა და იუმორი, ტრაგიზმი და გროტესკი. იგი მიმართავს ქართული პოეზიისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების მაღალმხატვრულ ნიმუშებს, მღელვარედ გადმოგვცემს სულიერ და ფილოსოფიურ განცდებს.

იოსებ კეჭაყმაძე კომპოზიტორი-ფერმწერია. მდიდარი და მრავალფეროვანია მისი ტემბრული პალიტრა, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ხატოვანი და ნატიფი აკუსტიკური ეფექტებით, ინტონაციური სახოვნებით. მისი მუსიკის სახვითი მხარე ზედმიწევნით დახვეწილია და კონცენტრირებული.

იოსებ კეჭაყმაძეს დაწერილი აქვს სასულიერო ჰიმნებიც, რომლებსაც ეკლესიებშიც გალობენ და მუსიკალურ სასწავლებლებშიც. მან ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო ქორალების წერა, როცა სასულიერო მუსიკა აკრძალული და მივიწყებული იყო.

ტექნიკურ-ტექნოლოგიური ნოვაციებით შეიარაღებული კომპოზიტორი არ ღალატობს ეროვნულ იდეალებსა და მარადიულ ეთიკურ-ესთეტიკურ ფასეულობებს. მას თამამად შეიძლება ეწოდოს კომპოზიტორი-ნოვატორი და კომპოზიტორი-კლასიკოსი“, – ნათქვამია წერილში.

ეკა ირემაშვილი

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 2. თიხის ფლეიტა; 3. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 4. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 8. თანამედროვე გემოვნების და მოთხოვნილების შესაფერისი რამე; 9. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის“ ავტორი; 12. მოკარნახე თეატრში; 13. უძველესი ქართული დამწერლობა; 16. ცხენების სადგომი, თავლა; 17. სამრეწველო რაიონი სამხრეთ პოლონეთში; 19. მკბენარა მწერი; 20. ესპანური სადესერტო ღვინო.

**თარაზულად**: 6. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 7. „ბარსელონას“ დამფუძნებელი; 8. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია ფრენა; 10. იაპონიის იმპერატორი; 11. ირლანდიური ცეკვა; 14. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 15. ძალზე ღრმა ხრამი, ხევი; 18. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 21. მკვრივი ქანების სანგრევი ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 22. პატარა ბოსტანი; 23. აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდება; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აპენინი; 2. „სიტროენი:; 3. ალტრუიზმი; 4. სამსალა; 5. ფარენგეიტი; 10. კურატი; 11. ალავერდი; 12. ტყაპუჭი; 13. ბურნუთი; 16. ავსტრალია; 17. „კავასაკი“; 19. ეჩხაბერი; 21. კოლტი; 23. აკაბა.

**თარაზულად:** 6. სპირიჩუელი; 7. ბავარია; 8. „ჰიტროუ“; 9. მურყვამი; 14. სუროგატი; 15. ტრანსფერი; 18. პადრე; 20. მანტისა; 22. დიაფანი; 24. ბორენა; 25. კლარნეტი; 26. „რიბოკი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თაფლუჭი; 2. აფალინა; 3. ციხეგოჯი; 4. „ვერიკო“; 5. მაყვალი; 8. შარიათი; 9. ჯინობილი; 12. ბოქსიორი; 13. პლატინა; 16. ხერთვისი; 17. „ოლიმპია“; 19. კვარცი; 20. კიუსიუ.

**თარაზულად:** 6. პაციფისტი; 7. ქეცბაია; 8. „შტერნი“; 10. სურდინა; 11. კაფი; 14. ხელბურთი; 15. ექსპერტი; 18. „ბეტისი“; 21. ვენეცია; 22. ქიმია; 23. „ილიადა“; 24. სიბელიუსი.

# „ვარდების რევოლუციის არქიტექტურაზე“ ვახტანგ დავითაიამ საჯარო ლექცია წაიკითხა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ვარდების რევოლუციის არქიტექტურა“.

როგორც „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, ვახტანგ დავითაია იმ არქიტექტორთა შორისაა, რომლებიც მრავალმხრივი განათლებით გამოირჩევიან. კარგად არის ჩახედული კულტურის სფეროში. არქიტექტურულ თემატიკაზე, გარდა პროფესიული მნიშვნელობისა, პირწმინდად ლიტერატურული ღირებულების არაერთი წერილი დაწერა.

„ვახტანგ დავითაიას მემუარული ჩანაწერები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის და ჩვენს კულტურულ რეალობას ხატავს. მისი დღიურები ძალიან ბევრ მკვლევარს გამოადგება. ვახტანგ დავითაია ძალიან ცოცხლად წერს. მისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რას წერს, არამედ ისიც, თუ როგორ დაწერს. მისი მოსაზრებანი ბოლო წლების არქიტექტურულ ყოფაზე ცალკეულ პუბლიკაციებად გამოქვეყნდა. ამჯერად მისი დაკვირვებები საჯაროდ იქნება გამოტანილი. საჯარო ლექცია არც ხელაღებით განქიქება იქნება და არც განდიდება. ეს იქნება ობიექტური ანალიზი, თუ რას წარმოადგენს ვარდების რევოლუციის არქიტექტურა“, – აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

როგორც ვახტანგ დავითაიამ განაცხადა, მას ქართული ლიტერატურისა და პოეზიის გარეშე ერთი დღეც არ ჰქონია. მისი მოსაზრებით, ვარდების რევოლუციის პერიოდში არქიტექტურასთან დამოკიდებულებაც ზუსტად ისეთი იყო, როგორც სხვა დარგებთან. მისი თქმით, გაუქმდა ყველა სამშენებლო ინსტანცია და არტქიტექტურის დარგის 400-მდე პროფესიონალის ნაცვლად ეკონომიკის სამინისტროს 10-კაციანი ჯგუფი შეიქმნა.

„ეს ჩვენთვის სრულიად უცხო სახლი იყო. როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ეს არ ყოფილა არც გულუბრყვილობა, არც ეკონომიკის აღმავლობისაკენ გადადგმული ნაბიჯი. ეს იყო არქიტექტურის წინააღმდეგ მიზანმიმართული აქტი. ხდებოდა ქართული არქიტექტურული პეტენციალის სრული იგნორირება. ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი უცხოელების ხელში გადავიდა. ქართველ არქიტექტორებს უცხოელებთან ერთად კონკურსებში მონაწილეობა სანატრელი გაგვიხდა. მაშინდელი ხელისუფლებისაგან გალაღებული და გაჯეჯილებულნი იტალიელი მიქელე დე ლუკი, გერმანელი იურგენ მეიერი და ესპანელები: კაბო, ლაზარო და კასტელანო იყვნენ“, – აღნიშნა ვახტანგ დავითაიამ.

მისი ინფორმაციით, მიქელე დე ლუკი არა არქიტექტორი, არამედ საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინერია, თუმცა საქართველოში „ამ შემოქმედების წყალობით პრეზიდენტის სასახლემდე ამაღლდა“.

როგორც ვახტანგ დავითაიამ აღნიშნა, თბილისში მტკვარზე მისი აგებული შუშის ხიდის გადახურვამ მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური ხედი მოსპო. ეს შუშის ხიდი, როგორც აბსურდის ძეგლი, ხმელეთზე, რუსთავის გზაზე უნდა დაიდგას.

„ეს არის ერის შეურაცხყოფა“, – დასძინა ვახტანგ დავითაიამ.

მისი შეფასებით, ულაზათო და უაზროა დე ლუკის ავტორობით აგებული სხვა შენობებიც და მას საქართველოსთვის არავითარი სულიერი ღირებულება არ შეუქმნია.

არქიტექტორი ქართული კულტურის წინაშე ჩადენილ დანაშაულად აფასებს იურგენ მეიერის საქმიანობას. მისი თქმით, მეიერის შენობები მესტიის უნიკალური კულტურის ძეგლებში უხეშად ჩაერია. რაც შეეხებათ კაბოს, ლაზაროსა და კასტელანოს, ვახტანგ დავითაიას თქმით, მათგან ორი ინჟინერია და მხოლოდ ერთი არის არქიტექტორი. მათ ქუთაისში მთავრობისა და პარლამენტის შენობები ააგეს, რომელთა ფსიქოემოციური ხასიათი ამ ტიპის ობიექტებისათვის მიუღებელია.

„რაც შეეხება ანბანის კოშკს, ქართული ანბანი ისედაც გვეღუპება და ეს ერთი ძეგლი გვიშველიდა?!“ – იკითხა ვახტანგ დავითაიამ.

მან ვარდების რევოლუციის პერიოდის კიდევ ერთ უცხოელ არქიტექტორზე – მაქსიმილიანო ფუქსასზე ისაუბრა, რომელიც, მისი შეფასებით, დიდი არქიტექტორია და უარყოფით კონტექსტში მისი მოხსენიება არ შეიძლება.

ვახტანგ დავითაია მიიჩნევს, რომ თუკი საქართველოს ვარდების რევოლუციის არქიტექტურაში რამე დარჩება, ეს მის მიერ აგებული შენობები იქნება. ვარდების რევოლუციის არქიტექტურაზე საუბრიუსას მომხსენებელმა ხაზი იმასაც გაუსვა, რომ ვარდების რევოლუციის არქიტექტურაში 2 თემა მძალავრობდა: პოლიციის შენობები და იუსტიციის სახლები. ალექსანდრე (კახა) ლომაია კი ერთადერთი მინისტრი იყო, რომელმაც სკოლების პროექტებზე ბრწყინვალე კონკურსები ჩაატარა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: იოსებ ჭუმბურიძე, გიგა ბათიაშვილი, თემურ ნადარეიშვილი, შოთა ბოსტანაშვილი, მანანა გაბაშვილი, ლალი მიქაძე.

მედინიუსი

# სტოქსის მეორე სამუშაო დღე

კალათბურთის ფედერაციისა და მსაჯთა კავშირის მოწვევით საქართველოში ჩამოსული რიჩარდ სტოკსი გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს, თამაზ თევზაძეს ესტუმრა. ფიბა-ევროპის სამსაჯო და საშეჯიბრებო დეპარტამენტების დირექტორთან ერთად, მინისტრის მოადგილეს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილიც შეხვდნენ. ევროპელმა სტუმარმა მინისტრის მოადგილეს თავისი ვიზიტის დეტალები გააცნო და იმ პროგრამაზე ესაუბრა, რომელსაც საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან ერთად ახორციელებს.

შეხვედრის შემდეგ მხარეებმა კომენტარები გააკეთეს:

**რიჩარდ სტოკსი, ფიბა-ევროპას მსაჯთა და საშეჯიბრებო დეპარტამენტების დირექტორი:**

— საქართველო სულ უფრო და უფრო მყარად მკვიდრდება ევროპულ საკალათბურთო ოჯახში. გარდა იმისა, რომ თქვენი ნაკრები უკვე სისტემატურად ასპარეზობს ევროპის ჩემპიონატზე, ქართველი მსაჯები აქტიურად მონაწილეობენ ფიბა-ევროპის ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში. საერთაშორისო კატეგორიის არბიტრების რიცხვიც იზრდება, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდა ჩემპიონატებში მსაჯთა და მწვრთნელთა დონის ამაღლება. სემინარის პირველმა დღემ შედეგიანად ჩაიარა, წინ კიდევ 2 სამუშაო დღეა და მჯერა, რომ ქართველი მსაჯები, კომისრები, მსაჯ-მდივნები და მწვრთნელები სემინარებიდან მათი პროფესიული ზრდისთვის აუცილებელ ცოდნას მიიღებენ.

**ბესიკ ლიპარტელიანი, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

— ფიბა-ევროპის სამსაჯო დეპარტამენტის დირექტორის ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია. სემინარის პირველმა დღემ საინტერესოდ ჩაიარა. ვფიქრობ, ასევე გაგრძელდება და მასზე დასწრებით ქართველი მსაჯ-კომისრები მნიშვნელოვან ცოდნას მიიღებენ. რიჩარდ სტოკსი ხვალ სუპერლიგის თამაშებს დაესწრება, მოახდენს ჩვენი მსაჯ-კომისრების საქმიანობის ანალიზს. მოგვიანებით, როცა თბილისში ნანახსა და მიღებულ ინფორმაციას გააანალიზებს, ის გამოგვიგზავნის თავის დასკვნას და იმ მინუსებზე მიგვითითებს, რომელიც საქმიანობაში გვექნება, ჩვენ კი მათ გამოსწორებაზე გავაგრძელებთ მუშაობას.

**თამაზ თევზაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

— ძალიან კარგია, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციას განვითარების პროგრამაში მსაჯთა და მატჩების მომსახურე პერსონალის მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაც აქვს შეტანილი. მსაჯების დონის ამაღლება ზოგადად სპორტული თამაშების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, ფიბა-ევროპის ჩინოსნის ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ მივესალმებით ყველა იმ ინიციატივას, რაც ქართული კალათბურთისა და სპორტის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გუშინვე საღამოს სტოქსმა სემინარი უკვე ქართველ მწვრთნელებს ჩაუტარა, დღეს კი საქართველოს სუპერლიგის მატჩებს დაესწრება და მსაჯებს მატჩისშემდეგომ ანალიზს გაუკეთებს.

მ. ჭ.

# ჩრდილოეთ კორეა ამერიკის სამხედრო ბაზებს უმიზნებს




„როიტერის“ ცნობით, დღეს ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ ქვეყნის სტრატეგიული რაკეტები და გრძელი რადიუსის მოქმედების არტილერია გუამზე და ჰავაიზე მდებარე ამერიკის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ სამხედრო მზადყოფნაზე გადაიყვანეს.

„ამ დროიდან ჩრდილოეთ კორეის არმია ნომერ პირველ საბრძოლო მდგომარეობაზე გადადის. ყველა ტიპის არტილერია დამიზნებული იქნება ჩვენი მტრის ყველა ობიექტზე, რომლებიც გუამზე და ჰავაიზე მდებარეობს“, — აცხადებენ ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო ტელეარხები.

ცოტა ხნის წინ კი სამხრეთ კორეამ და ამერიკამ ახალი სამხედრო გეგმას მოაწერეს ხელი. ოფიციალური პირების განცხადებით, ახალი გეგმის თანახმად ჩრდილოეთ კორეის მხრიდან ნებისმიერი თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნები ერთმანეთს დაეხმარებიან. რეგიონში დაძაბულობა განსაკუთრებით ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ კორეის მიერ მესამე ბირთვული ცდის ჩატარების შემდეგ გაიზარდა. ამ ცდის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭომ ქვეყნის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები შემოიღო.

ამერიკა, როგორც ცნობილია, ამ დროისათვის სამხრეთ კორეას „ბირთვული ქოლგის“ ქვეშ დახმარებას სთავაზობს, თუმცა როგორც ცივი ომის ექსპერტები აღნიშნავენ, ეს ომის შემთხვევაში სამხედრო დახმარებას გულისხმობს და მცირე დონის ინციდენტები არ არის გათვალისწინებული. ახალი გეგმის მიხედვით კი სამხრეთ კორეას ამერიკის დახმარების თხოვნა მაშინაც შეეძლება, თუ მაგალითად ჩრდილოეთი სამხრეთ კორეის შორეულ კუნძულებზე გადაწყვეტს თავდასხმას. „შეთანხმება ჩრდილოეთ კორეისაგან პროვოკაციებს აგვარიდებს“, — აცხადებს სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი კიმ მინ-სეოკი.

გ. მ.

# ფინანსურმა კრიზისმა კვიპროსში ბავშვებიც შეაშფოთა



მასშტაბურმა ფინანსურმა კრიზისმა კვიპროსში ბავშვებიც კი შეაშფოთა. ნიქოზიაში სკოლის მოსწავლეებმა საერთაშორისო კრედიტორების — ევროკავშირის, ევროპის ცენტრალური ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის „სამეულის“ პოლიტიკის წინააღმდეგ მასობრივი დემონსტრაცია მოაწყვეს.

პარლამენტის შენობასთან ათასობით მოსწავლე შეიკრიბა, რომლებიც შემდეგ სიტყვებს სკანდირებდნენ: „სამეულო, გაეთრიე კვიპროსიდან! ხალხო, გამოიღვიძე, სისხლს გწოვენ! სიკვდილი მერკელს!“

კვიპროსის ხელისუფლება ევროკავშირის საკრედიტო დახმარების გეგმას დათანხმდა. ორშაბათ ღამეს, 25 მარტს, ევროპის ჯგუფის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კვიპროსს 10 მილიარდი ევროს დახმარება აღმოუჩინოს.

კვიპროსის ფინანსთა მინისტრის მიხალის სარისის განცხადებით, კვიპროსის ბანკების იმ დეპოზიტორებს, რომელთაც ანგარიშზე 100 ათას ევროზე ნაკლები ერიცხებათ, კონფისკაციის ახალი ზომები არ შეეხებათ.

თუმცა, იმ პირების დანაკარგმა ვისაც კვიპროსის ბანკებში 100 000 ევროზე მეტი აქვს შეტანილი, შესაძლოა 40%-ს მიაღწიოს. აღნიშნულის შესახებ სარისმა „ბი-ბი-სის“ განუცხადა. თუმცა, მინისტრი ინვესტორების ნდობის დაბრუნებას საერთაშორისო კრედიტორებისაგან თანხების მიღების შემდეგ მალევე ვარაუდობს. მინისტრის თქმით, მართალია ქვეყანა ეკონომიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, თუმცა ქვეყანა „ენერგეტიკული ბუმის“ ზღურბლზე დგას, რაც კუნძულის სამხრეთ ნაპირზე გაზის ახალი საბადოს ექსპლუატაციის მალე დაწყებას უკავშირდება.

გ. მ.

# სოლომონ პავლიაშვილი: „ბანკებიც და ბიზნესიც ისევ ნაციონალების ხელშია“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ის ხალხი უნდა გამოიყენონ, ვინც კარგად იცის რეგიონი, ვისაც აქვს მმართველობით ორგანოებში მუშაობის გამოცდილება და ვინც კარგად დაინახავს, სად არის საბოტაჟის ნიშნები. საბოტაჟი რომ ვერ შეძლონ, ამიტომ შენ უნდა იყო მაღალპროფესიონალი. კადრების ბანკი არსებობს და უნდა გამოიყენო, ამის თქმა მინდა. რაც შეეხება საბოტაჟს, თუ სახელმწიფო ხელისუფლება სუსტია, ეს შეიძლება მოხდეს.

***— ბიზნესიც ნაციონალების ხელშია, ბანკებიც და ამანაც შეიძლება საბოტაჟის საფუძველი შექმნას?***

— კი, ბანკებიც მათ ხელშია და ბიზნესიც. ასე იოლად ვერც გადენი. როგორ წარმოგიდგენიათ, ჩაჩეხავ და გაყრი ყველას? თუ ებრძვი, უნდა პროფესიულ დონეზე ებრძოლო, არგუმენტირებულად და შენი სიმართლე დაუმტკიცო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

***— პრეზიდენტმა სატელევიზიო ინტერვიუში მიანიშნა: ადგილობრივ არჩევნებში ვნახოთ, როგორი შედეგი დაიდებაო. ანუ სააკაშვილს საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნების იმედი აქვს...***

— ამიტომ არის, რომ ახალმა ხელისუფლებამ უნდა აგრძნობინოს, რომ მაღალი დონის პროფესიონალები არიან, ძლიერები არიან და ეს უნდა ჩანდეს მათ გამოსვლებში. მთავრობა უფრო თავდაჯერებულად უნდა გამოიყურებოდეს. არც ამდენი კონსულტაციებია საჭირო. გადაწყვეტილებებში არ უნდა დავაგვიანოთ არც ერთ დონეზე. პოლიტიკური ნება უნდა იყოს ძლიერი ყველა მიმართულებით, როგორც სამართლებრივი, ასევე ეკონომიკური მიმართულებით. უფრო მოქნილი და ოპერატიული მენეჯმენტი უნდა იყოს. ფაქტია, ოპერატიული მართვის პრობლემა დგას. სამწუხაროდ, მოადგილეების დონეზე ჯერ ისევ ძველი კადრები მუშაობენ. ეს რატომ ხდება, ვერ გამიგია.

***— მათი გაშვება ალბათ უფრო პოლიტიკურ წმენდაში ჩაითვლება.***

— არა, რატომ. ნაციონალები რომ მოვიდნენ, სოფლის რწმუნებული არ დაუტოვებიათ არც ერთ რაიონში, სასამართლო ხელისუფლებაზე აღარ ვლაპარაკობ. აბსოლუტურად ყველას შეეხნენ. შენ იმაზე მაგარი უნდა აჩვენო, მაღალი პროფესიონალი და ასე აკადემიურად შეცვალო კადრები.

***— საპარლამენტო უმცირესობა ფიქრობს, რომ ფინანსთა მინისტრი ხადური შს მინისტრის ფუნქციებს ითავსებს და თავის უფლებამოსილებას ცდება. ასეა?***

— ასე ნამდვილად არ არის. როცა ეკითხებიან, იძულებულია პასუხი გასცეს იმიტომ, რომ ფინანსური პოლიცია ფინანსთა სამინისტროში შედის. რაც შეეხება საგამოძიებო სამსახურში დაბარებას, წინასწარ სანამ მასალები არ მომზადდება, ვფიქრობ, დაბარებაც არ უნდა ხდებოდეს. გაიხსენეთ, ნაციონალები როგორ იბარებდნენ ხალხს. აქ გასაკვირი არაფერია, მთავარია ეს ხელისუფლება არგუმენტირებული იყოს. ამ ქაოსში და რაღაცებში მთავარია, ეკონომიკა არ დავაზარალოთ, ბიზნეს-გარემო არ უნდა შესუსტდეს. ამისთვის საჭიროა პიარი საერთაშორისო ინსტიტუტებთან. შეიძლება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაბარებებს ისე წარმოაჩენენ იგივე უმცირესობის მომხრეები, რომ ამან ბიზნეს-გარემოს ავნოს. შეიძლება ამ ეტაპზე ინვესტიციები გარკვეულწილად შენელდეს. თუმცა, აქ პრემიერ-მინისტრის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. ისეთ ქვეყნებში, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით, პიროვნებები წყვეტენ ბევრ რამეს ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. გარემოც მნიშვნელოვანია და, ბუნებრივია, პიროვნული გარანტიებიც. ვფიქრობ, პრემიერის პოზიტიური როლი მალე გამოჩნდება და ინვესტიციების მოზიდვაში პრობლემა არ იქნება.

***— ბანკები დაბალ პროცენტში მოზიდულ თანხებს გაცილებით მაღალ პროცენტში გასცემენ. შესაძლოა საბანკო პროცენტი დაწიონ და ბანკებმა მოგება შეიმცირონ?***

— აქ ეროვნული ბანკის ფუნქცია ძალიან მნიშვნელოვანია. ბანკებთან მიმართებაში სუბიექტური ფაქტორით არ უნდა ვიმოქმედოთ. ფრთხილად უნდა მივუდგეთ. საბანკო სისტემა საქმიანობა არის ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ნაწილი, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ინფლაცია არ მიდის, აქ შესაძლებელია დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემა მოხდეს. 3-4%-იან კრედიტებს იღებენ ბანკები, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი უცხოელია და შემდეგ 24%-ში გასცემენ. სახელმწიფო ფონდებზე რომ ლაპარაკობენ, ამის ალტერნატიული გზები უნდა გააჩინოს, რომ უფრო მეტი შეთავაზება იყოს და უფრო მიმზიდველი იყოს ეს კრედიტები. მთავარია, ამ ყველაფერმა ინფლაციური პროცესი არ გამოიწვიოს. თუ რამესი უნდა ეშინოდეს ქვეყანას, ეს ინფლაციაა. დეფლაცია საშიში არ არის. დღეს რომ ინფლაცია არ არის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ არ იქნება. დღეს რა ზღვარიც აქვს, 6%-იანი ზღვარი ინფლაციისა, ამ ფარგლებში უნდა ვიმოქმედოთ. ამ ბანკების მოქმედებაც აქედან არის გამომდინარე. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა სხვა იყოს და ფისკალური სხვა. ისინი ერთმანეთთან სინქრონიზაციაში უნდა იყვნენ. ამიტომ ვამბობ, რომ ბანკებმა შეიძლება პროცენტი დაწიონ, მაგრამ ეს ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკიდან გამომდინარე უნდა იყოს და არა მექანიკურად პროცენტის დაწევა.

***— დაბოლოს, ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაზეც ვისაუბროთ. რამდენად სწორი მიდგომა აქვს ამ კუთხით ახალ ხელისუფლებას?***

— ის, რომ სახელმწიფო დაზღვევა შემოდის, ვფიქრობ, პოზიტივია. ის, რომ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს კერძო სადაზღვევო სისტემის განვითარებას, ესეც ცალსახაა. ორივე მოქმედებს ამ ერთიან ჭრილში და ერთმანეთს ავსებენ. ის, რაც აქამდე მოხდა სადაზღვევო სექტორში, როცა 300 მილიონის რესურსი ჩაიგდეს ხელში სადაზღვევო კომპანიებმა და რეგიონებიც გადაინაწილეს, ეს იყო მიუღებელი. თან ის სამუშაოებიც ვერ განახორციელეს, რაც უნდა განეხორციელებინათ. თან 60-65% მოგებაზე გავიდნენ ეს სადაზღვევო კომპანიები. ახლა გარკვეული შეჯიბრებითობა იქნება კერძო და სახელმწიფო დაზღვევას შორის. ეს იქნება დონეების მიხედვით. ერთი იქნება აუცილებელი მომსახურება ჯანმრთელობის სფეროში, მეორე იქნება იმის ზევით — თუ გინდა მეტი სადაზღვევო გარანტიები გქონდეს ჯანმრთელობის დაზღვევის კუთხით, კეთილი ინებე და კერძო კომპანიაში დაეზღვიე. როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდნენ სადაზღვევო კომპანიები დიდი ოდენობით ტრანსფერებს, კეთილი ნება გამოეჩინათ და დაეზღვიათ სოფლის მეურნეობა. აი, ამ კუთხით უნდა იმუშაონ კერძო სადაზღვევო კომპანიებმა. სოფლის მეურნეობის ბაზარი კარგად შეისწავლონ და მცირეფასიანი დაზღვევის პაკეტი შესთავაზონ. ამ გზით გლეხიც გაძლიერდება და ხვალ შეეძლებათ პაკეტის ფასიც გაზარდონ. დღეს მათ კლიენტები უნდა ეძებონ ამ ბაზარზე და არა ის, რომ მზამზარეული მიუვიდეთ. მეორეც, ამხელა თანხები რატომ უნდა იყოს გასული კერძო სექტორში? თუმცა, აქ ერთი მომენტიც არის: მე შემიძლია სახელმწიფო დაზღვევა ავკიდო კერძო დასაზღვევო კომპანიასაც, მთავარია, როგორ იმუშავებს. წინა ხელისუფლებასაც ჰქონდა 5 ლარიანი დაზღვევა და ვერ იმუშავა. შევხედოთ, გრძელვადიან პერსპექტივაში რამდენად ეფექტიანი იქნება ის დაზღვევა, რომელიც მთავრობამ შემოგვთავაზა.

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 27 მარტი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები/ 17.00 „გურმანია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 105-ე გადაცემა 19.05 ტ/სერ „ხმა წარსულიდან„ 21.00 ტ/სერ „მიმინო„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 მხ/ფ „საწვრთნელი დღე„ (დ.ვაშინგტონი) 01.20 დ/ფ „ყურანის ისტორიის სათავეებთან„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 7 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 8 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 5 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 დოკ/ფ „შობის ბრწყინვალე დღესასწაული„ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ლამაზი მერის ამბავი„ (კ.დიასი) 00.30 მხ/ფ „ძაღლური ცხოვრება„ (მ.ფრიმენი) (ტიტ.) 02.10 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ „გმირი„ 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 ნიამორი 06.50 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 07.15 დოკ/ფ „იერუსალიმის ქვა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 დოკ/ფ „უჯარმის პატარა სახლი„ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დროის ჩანაწერები 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი - ანს. „რუსთავი„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „სულიკო„ 16.50 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მე ვხედავ მზეს„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პირველშეწირული წირვის განმარტება მამა ბიძინა გუნია 23.30 დოკ/ფ „წმინდა ანტონის სავანე„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „პიანისტი„ I ნაწ.

**მაესტრო** 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6581

ევრო — 2,1557

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5218

100 რუსული რუბლი — 5,3907

## ამინდის პროგნოზი 27 მარტისთვის




## ჯოლი და ჰეიგი კონგოში ჩავიდნენ



დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უილიამ ჰეიგი და ცნობილი მსახიობი ანჯელინა ჯოლი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნისას ქვეყნის ჩრდილოეთით ქალების ბანაკს ესტუმრნენ და ქვეყანაში არსებული სექსუალური ძალადობის გამო შეშფოთება გამოთქვეს.

„სექსუალურ ძალადობას აუცილებელი წერტილი დაესვას“,- აღნიშნა ჰეიგმა.

ჯოლის თქმით, რომელიც გაეროს საგანგებოს დესპანს წარმოადგენს, ეს საკითხი „მსოფლიოს ყურადღებას“ მოითხოვს.

ყოფილმა ბელგიურმა კოლონიამ სახელი 1971 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ შეიცვალა კონგო-კინშასადან ზაირზე, 1997 წლამდე. 1998 წლიდან ქვეყანას უდიდესი გამანადგურებელი ომის გადახდა მოუწია (ხშირად წოდებული როგორც აფრიკის მეორე მსოფლიო ომი), რაც მსოფლიოს ყველაზე მსხვერპლიანი ომი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

**გ. მ.**

## ასტროპროგნოზი 27 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — დაისვენეთ და გაერთეთ. **კირჩხიბი** — პრობლემები გაქვთ, ფრთხილად იყავით. **ლომი** — გადაღლილი ხართ, მაგრამ სიტუაცია გამოსწორდება. **ქალწული** — გზიდან ფული და საჩუქარი მოდის. **სასწორი** — ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია მოინდომოთ. **მორიელი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა კარგია, თქვენ ეს გჭირდებათ. **თხის რქა** — თავს მიხედეთ, ნუ გადაყვებით სხვებს. **მერწყული** — იყავით კრიტიკული, მაგრამ პირველ რიგში — საკუთარი თავის მიმართ. **თევზები** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ფაიფურის მწარმოებელი ინგლისური ფირმა; 2. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 4. დაბალი რანგის დიპლომატი; 5. ასირიის ლეგენდარული დედოფალი; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. კუთხე საქართველოში; 13. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა; 16. რაიმე საგნის, მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე; 17. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 19. დედამიწის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 21. საერთაშორისო სამეცნიერო კვლევის ცენტრი შვეიცარიაში; 23. მოკლე სადღეგრძელო.

**თარაზულად**: 6. ქართველი მოჭიდავე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 7. წმინდანად შერაცხული ქართველთა მეფე; 8. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 9. თურქეთის პრემიერ-მინისტრი; 14. ტურისტთა მეგზური გიდი იტალიაში; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 18. ქიმიური ელემენტი, ვერცხლისფერი ლითონი; 20. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 22. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 24. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 25. ძველბერძენი ისტორიკოსი-გეოგრაფი; 26. სვანური სახლის ქვედა სართული.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალების მიზეზი გაგუდვა გახდა

ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალების მიზეზი გაგუდვა გახდა, თუმცა ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

ამის შესახებ ბერეზოვსკის ცხედრის გაკვეთის შემდეგ გაკეთებულ დასკვნაშია აღნიშნული.

ამ თვალსაზრისით, პოლიცია საუბრობს, რომ ბერეზოვსკის გარდაცვალების მიზეზი შესაძლოა, თვითმკვლელობა იყოს, თუმცა გამოძიების განცხადებაში სიტყვა „სუიციდი“ ნახსენები არ არის. ადრე პოლიციამ განაცხადა, რომ ოლიგარქის გარდაცვალებაში მესამე მხარის მონაწილეობას ვერ ხედავს.

ბრიტანეთის პრესა არსებულ ინფორმაციზე დარყრდნობით აცხადებს, რომ 67 წლის რუსმა ოლიგარქმა თავი ჩამოიხრჩო.



ბერეზოვსკის ცხედარი 23 მარტს დაცვამ საკუთარ სახლში აღმოაჩინა. ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში ბიზნესმენი აბრამოვიჩთან წაგებული სასამართლო დავის გამო მძიმე დეპრესიაში იყო და გარკვეული პერიოდი ისრაელის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში მკურნალობდა.

„ბი-ბი-სის“ ბორის ბერეზოვსკის ახლო მეგობარმა რიჩარდ გალპინმა განუცხადა, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ის თვითმკვლელობაზე საუბრობდა. თუმცა, გალპინის თქმით, მას ეს სიტყვები სერიოზულად არ მიუღია. მან დაადასტურა, რომ ბოლო პერიოდში ბერეზოვსკი ანტიდეპრესანტებს იღებდა.

ჩეჩნეთის დევნილობაში მყოფი მთავრობის ექსპრემიერმინისტრი აჰმედ ზაკაევი „ბი-ბი-სისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მას ბორის ბერეზოვსკის თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა. ზაკაევი ასევე უარყოფს იმას, რომ ბერეზოვსკიმ ვლადიმერ პუტინს თხოვნის წერილი გაუგზავნა.

„არც ერთი სიტყვის არ მჯერა. ასეთი წერილი შესაძლოა არც ყოფილიყო. ასეთი წერილი მართლაც რომ ყოფილიყო მას ყველა მედიასაშუალება გამოაქვეყნებდა მალევე მას შემდეგ რაც ეს წერილი გაიგზავნებოდა. ბორისი ბოლომდე ერთგული იყო იმ ფასეულობებისა, რომლებისთვისაც იბრძოდა და მას ამ ფასეულობებისათვის არ უღალატია.

იგი პუტინს დიქტატორად მიიჩნევდა, ადამიანად, რომელმაც გააუქმა ყველა თავისუფლება და ძირშივე ჩაახშო ყველა ის დემოკრატიული პროცესი, რომელიც რუსეთში მრავალწილად სწორედ ბერეზოვსკის წყალობით გაჩნდა“, — აცხადებს ზაკაევი და აღნიშნავს, რომ ბერეზოვსკი მხოლოდ ბიზნესმენი არ ყოფილა — იგი პოლიტიკოსი იყო და პუტინსა და ბერეზოვსკის შორის სხვაობა იმაშია, რომ ბორისს თავისი შეცდომების აღიარება შეეძლო. ბერეზოვსკიმ თავის ერთ-ერთ უდიდეს შეცდომად აღიარა ის, რომ მან ხელი შეუწყო პუტინის ხელისუფლებაში მოსვლას.

„მე არ ვარ ბერეზოვსკის არც „კასირი“ და არც ბუღალტერი, მაგრამ მე არ მჯერა, რომ მისი საქმეები იმდენად ცუდად იყო, რომ მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე“, — ამბობს ზაკაევი და ლიტვინენკოსაც იხსენებს და აცხადებს, რომ არც მასზე მომხდარა არავითარი შეიარაღებული თავდასხმა.

„მას უბრალოდ ფინჯანი ჩაი დაალევინეს. მიუხედავად თავისი პროფესიონალური წარსულისა ლიტვინენკო ბერეზოვსკისგან განსხვავებით უკიდურესად მიმნდობი ადამიანი იყო. მას უყვარდა თავისი მეგობრები და უყვარდა სიცოცხლე...

ყველანი ღმერთის შვილები ვართ, მე ვიცხოვრებ იმდენს, რამდენსაც უფალი გამომიყოფს და ვიცხოვრებ ისე, რომ არ ვუღალატო ჩემს მეგობრებს, ჩემს იმ მეგობრებს რომლებიც ჩეჩნეთში და აქ გარდაიცვალნენ და არ ვუღალატო საკუთარ თავს.

ასე რომ მე ვფიქრობ, რომ იმ წერილს, რომელზეც პესკოვი საუბრობდა, იმ თხოვნის წერილს ვერ ეღირსნენ ბერეზოვსკისგან და ასევე ვერ ეღირსებიან ჩემგან“, — აცხადებს აჰმედ ზაკაევი.

**გ. მ.**

## რომან აბრამოვიჩის დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ

რუსი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის წარმომადგენელი ბიზნესმენის დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს.

ჯონ მანის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.

რომან აბრამოვიჩის აშშ-ში დაკავების შესახებ ინფორმაცია გუშინ რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს.



ბიზნესმენის დაკავების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ მისი კუთვნილი კომპანიის აქციებზე ფასების ვარდნა გამოიწვია. ეს ინფორმაცია მალევე იქნა უარყოფილი და ფასებმა კვლავ მატება დაიწყო. ექსპერტები ეჭვობენ, რომ ბიზნესმენის იურისტები ამ ფაქტთან დაკავშირებით კომპენსაციის მიღებას შეძლებენ. ინფორმაცია აბრამოვიჩის დაკავების შესახებ პირველმა „ერბეკა-ტივიმ“ გაავრცელა.

აბრამოვიჩის წარმომადგენელმა ჯონ მანმა, რომელიც დაუღალავად უარყოფდა ყველა მედიასაშუალებასთან საუბარში ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ინფორმაცია აბრამოვიჩის დაკავების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება აცხადებს, რომ ბიზნესმენის იურისტები ამ საქმეს ყურადღებს მიღმა არ დატოვებენ.

ამავე დროს, ჯერ ჯერობით გაურკვეველია, უნდა ჰქონდეს თუ არა შეშფოთების საფუძველი ბერეზოვსკის უსაფრთოების სამსახურის ყოფილ უფროსს სერგიე სოკოლოვს, რომელმაც ასევე დაადასტურა ტელეეთერით, რომ აბრამოვიჩი დაკავებულია. თავის წყაროებზე დაყრდნობით მან განაცხადა, რომ მას აშშ-დან დაურეკეს და უთხრეს, რომ დღეს „რომას დააპატიმრებენ“. ამავე დროს ინფორმაციას აბრამოვიჩის დაკავების შესახებ ასევე ადასტურებ- და „ბიზნეს ეფემთან“ საუბარში ცნობილი ადვოკატი ალექსანდრე დობროვინსკი თუმცა მალევე მან თავად უარყო ეს ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტები აცხადებენ, რომ აბრამოვიჩის ადვოკატების მიერ კომპენსაციების მიღების პერსპექტივები ძალიან ბუნდოვანია. ბოლოს და ბოლოს მათი ფასის ვადნა ხანგრძლივვადიანი არ ყოფილა და ფასი მალევე დაუბრუნდა არსებულ ნიშნულს.

თავად აბრამოვიჩის მიერ ამ ფაქტზე კომენტარი ჯერ არ გაკეთებულა, მეტიც, ჯერ ჯერობით ისიც გაურკვეველია თუ სად იმყოფება აბრამოვიჩი ამჟამად. ბოლო ინფორმაციით, იგი აშშ-ში იმყოფება.

**გ. მ.**

## იოსებ კეჭაყმაძე გარდაიცვალა



73 წლის ასაკში გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი იოსებ კეჭაყმაძე გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ავრცელებს და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, კოლეგებსა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

იოსებ კეჭაყმაძისადმი მიძღვნილი ტექსტი აუდიო-ალბომიდან „უნიკალური ჩანაწერები“, რომლის ავტორიც მანანა ახმეტელია, კომპოზიტორის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა:

„...კარგა ხანია ჩამოყალიბდა მაღალი აზრი იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედების შესახებ. იგი აღიარებული ოსტატია, საგუნდო მუსიკის ნოვატორია. ავტორია უნიკალური საგუნდო პარტიტუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## მანუჩარ მაჩაიძე სპორტის რაინდია




25 მარტს ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს მანუჩარ მაჩაიძეს 64 წელი შეუსრულდა, 26 მარტს კი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა იუბილარს სამინისტროში უმასპინძლა და სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა. მანუჩარ მაჩაიძესთან შეხვედრას მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძეც დაესწრო.

მანუჩარ მაჩაიძე 1968 წელს ჩაირიცხა თბილისის დინამოში, სადაც 1980 წლამდე თამაშობდა. დინამოს შემდეგ იყო მოსკოვის სპარტაკის, ტაშკენტის ფახთაქორისა და ქუთაისის ტორპედოს ფეხბურთელი. დინამოს მაისურით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ჩატარებულ 297 მატჩში მანუჩარ მაჩაიძემ 42 გოლი გაიტანა, 1978 წელს ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა, 1976 და 1979 წელს კი სსრკ-ის თასი აღმართა.

1974 წლის 17 აპრილს იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ პირველად ითამაშა ნაკრებში, საერთო ჯამში კი ქვეყნის პირველი გუნდის მაისური ოთხჯერ მოირგო.

**მ. ჟ.**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი